# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 7 აგვისტო. 2023 წ. №91 (9623) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


# გასაღვიძლდევლით, რაჭველებო!

## სულგრძელობით ვძლიოთ შოვის ტრაგედიას, ქართველნო!



იხ. 2-3 გვ.

...დიახ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ბუნება მბრძანებელია, მაგრამ ადამიანი იმით ფასობს, მწარე გაკვეთილიდან აზრიანი დასკვნა გამოიტანოს და ძველი შეცდომები გაითვალისწინოს!

დიახ, ვერავინ გაგვიცოცხლებს შოვის ტრაგედიის ძვირფას მსხვერპლთ, მაგრამ უახლოესი წარსული გვასწავლის, რომ რაჭის დამანგრეველი, 1991 წლის მიწისძვრის შემდეგ დედასამშობლოს დიდებული რეგიონის ფერფლიდან აღდგენისა არ იყოს, უნიკალური სამკურნალო მჟავე წყლებითა და წიწვოვან-ფოთლოვანი წალკოტით გამორჩეული კურორტის მეორედ დაბადება სავსებით შესაძლებელია!

ეს ასეც მოხდება, ოღონდ უნდა დავმორჩილდეთ მთის მკაცრ, მაგრამ სამართლიან კანონებს და საკეთებელი გულით ვაკეთოთ!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია დიდი გულისტკივილით უსამძიმრებს შოვის დამანგრეველი ღვარცოფის გამო დაღუპულთა ოჯახებს და გამძლეობას უსურვებს. გფარავდეთ ღმერთი!



## შოვის ტრაგედიით „აღშფოთებული“ ოპოზიცია ახალ არეულობას გეგმავს?!

4

## 08.08.08 – 15 წელი გასულა!..



იხ. 5 გვ.

# შინდისი

### ლიახვთან არაგველნი ყვირიან!

--------------

### ნაშთი სალტიკი ღლეჯნისა...

ზურაბ ცუცქირიძე:

## ღირსების ანატომია



6-7

### ღია გაკვეთილი აწინდელი და მომავალი ხელისუფლებებისთვის

სრული უვიცობა და გამოთაყვანება ლაემართა კოლექტიურ ლასავლეთს, რომლის ფინალი ისეთივე იქნება, როგორიც რომისა და ბიზანტიის იმპერიებს ჰქონდათ!

# დღეს არის ერთიანობის და ამ ტრაგედიის ერთად გადალახვის დრო!

## 7 აგვისტო გლოვის დღეა!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, 3 აგვისტოს, ონის მუნიციპალიტეტში, კურორტ შოვში წარმოქმნილი სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად 7 აგვისტო გლოვის დღედ გამოცხადდა. აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი განკარგულება გამოიცა.**

**ამასთან, სახელმწიფო დროშები დაეშვება 8 აგვისტოს 00:00 საათიდან 9 აგვისტოს 00:00 საათამდე საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების უკანონო ოკუპაციის მიზნით რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში განხორციელებული ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის პატივის მიგების ნიშნად.**



## პატრიარქი ილია II: დიდად ვწუხვართ გარდაცვლილთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა გამო

**მთელი ჩვენი მოსახლეობა და ჩვენც შეშფოთებით ვადევნებთ თვალს რაჭაში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად განვითარებულ მოვლენებს და, ბუნებრივია, პირველ რიგში, დიდად ვწუხვართ გარდაცვლილთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა გამო.**

**რა თქმა უნდა, მორწმუნენი ლოცვით შეწევნას გუშინდელი დღიდანვე აღავლენენ, მაგრამ ათეულობით ადამიანის მდგომარეობა კვლავ გაურკვეველია.**

**ამიტომაც გთხოვთ ყველას, მათ დასახმარებლად 12-ჯერ ვთქვათ: „მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა“ ამინ! ასევე, ერთხელ 90-ე და 50-ე ფსალმუნი. ღმერთმა მშვიდობით აკურთხოს საქართველო და ყოველნი მკვიდრნი მას შინა“,** – აღნიშნულია პატრიარქის მიმართვაში, რომელსაც საქართველოს საპატრიარქო ავრცელებს.

## სალომე ზურაბიშვილი: მთავრობას სოლიდარობას ვუცხადებ!

**მინდა გამოვხატო ჩემი ღრმა მწუხარება იმ ტრაგედიის წინაშე, რაც დატრიალდა გუშინ ღამე და დღეს. მინდა მივუსამძიმრო დაღუპულთა ოჯახებს და მინდა, იმ ოჯახებთან ერთად ვილოცო, ვინც ჯერ კიდევ ელოდება, რომ დაკარგული ადამიანები აღმოჩნდნენ ცოცხლები,** – ამის შესახებ სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა მაშველებს და აღნიშნა, რომ მზად არის ადმინისტრაციასთან ერთად ჩაერთოს სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების პროცესში და მთავრობას სოლიდარობას უცხადებს. **„ჩვენ ვიცით ტრაგედიის წინაშე გაერთიანება და დღეს სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ გავერთიანდეთ, რათა ყველა ჩვენი შესაძლებლობით დავეხმაროთ იმ ადამიანებს, რომ გადალახონ ეს გაუსაძლისი პერიოდი მათი ცხოვრების.**

**– მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ მაშველს, ყველა იმ მოქალაქეს, რომლებმაც ადგილზე ყველაფერი გააკეთეს რაც შეეძლოთ, რათა გადარჩენილიყვნენ სტიქიის ზონაში ჩარჩენილი ადამიანები. მინდა ასევე ვთქვა, რომ ჩემი ადმინისტრაცია და მე, პირადად ვუცხადებთ სოლიდარობას ადგილობრივ ხელმძღვანელობას, ხელისუფლებას, ყველა უწყებას, რომელიც იქ არის ჩართული, მთავრობას. დღეს არის დრო ერთიანობის და ერთად ამ ტრაგედიის გადალახვის. მინდა ისიც ვთქვა, რომ ჩემი ადმინისტრაცია და მე, პირადად ყველაფერში ჩავერთვებით, სადაც ჩვენი აქტიურობა საჭირო იქნება. ჩვენ თვითონაც ვნახავთ მომავალ დღეებში, რა კუთხით შეიძლება, ჩვენი როლი და წვლილი შევიტანოთ ამ ტრაგედიის გადალახვაში...**

## ირაკლი კობახიძე: თუ არ ჩავთვლით უშუალოდ სტიქიის წუთებს, არ ყოფილა წყლის დონის არც მატება, არც კლება

**წყლის დონეზე იყო უამრავი სპეკულაცია, ჯერ ითქვა, რომ თითქოს წინა დღეებში იყო მომატებული, მერე ითქვა, რომ საერთოდ არ მოდიოდა მდინარე და მინიმუმამდე იყო დასული წყლის დონე,** – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ შოვში, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, წყლის დონესთან დაკავშირებით გავრცელებული სხვადასხვა ინფორმაცია სპეკულაციური ხასიათის იყო, ვინაიდან გაირკვა, რომ წყალმზომებს არც სტიქიის დღეს და არც წინა დღეებში, წყლის დონის ცვლილება არ დაუფიქსირებიათ...

## კახა კალაძე: ამ რთულ ვითარებაში ხელისუფლება აკეთებს მაქსიმუმს

დედაქალაქის მერი კახა კალაძე შოვში, სტიქიის ადგილზე იმყოფებოდა. მედიასთან საუბრისას მან სტიქიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა.

**– პირველ რიგში, მინდა, მივუსამძიმრო გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს, ახლობლებს, ნათესავებს, სრულიად საქართველოს. ძალიან მძიმეა ის უბედურება, რაც მოხდა რაჭაში, კონკრეტულად შოვში. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ შოვი აღარ არსებობს, განადგურებულია ყველანაირად. ალბათ მედიას გქონდათ შესაძლებლობა, გენახათ, რა მასშტაბებზეა საუბარი და რამხელა უბედურება დაატყდა თავს საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს მხარეს. მინდა, მადლობა გადავუხადო მაშველებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომელს, პოლიციელებს, მადლობა მოხალისეებს, ჩვენს ჯარისკაცებს.**

**მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები, ტექნიკა მობილიზებულია. ინფრასტრუქტურის სამინისტროს ყველა შესაბამისი სამსახური, უწყება ადგილზეა და კოორდინირებულად მუშაობს. ტექნიკის შეყვანას რაც შეეხება, ეტაპობრივად ხდება, იქიდან გამომდინარე, როდესაც ამის ნებართვას გასცემს სამაშველო სამსახური. თქვენ იცით, რომ სამძებრო სამუშაოები უშუალოდ ხელით მიმდინარეობს. სადაც შესაძლებელია ტექნიკის მუშაობა, იქ უკვე 40-ზე მეტი ერთეული ტექნიკა მუშაობს. საერთო ჯამში, 80-მდე ერთეული ტექნიკა არის მობილიზებული და ეტაპობრივად, როგორც კი მიეცემათ შესაძლებლობა, ყველგან, სადაც აუცილებელია, შევლენ. თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ უმძიმესი მდგომარეობაა, ძალიან დიდი მასშტაბის ღვარცოფი არის ჩამოსული, გაცილებით მეტი, ვიდრე იყო ყაზბეგში. გვახსოვს ის უბედურება, რაც მოხდა. სამძებრო სამუშაოები კვლავ მიმდინარეობს, ნებისმიერ ადამიანს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რაც ხდება...**

## შალვა პაპუაშვილი: შოვში სტიქიის გამომწვევ მიზეზებზე გეოლოგიური დასკვნა მალე გახდება ცნობილი

**– გეოლოგები მუშაობენ უკვე, მათ შორის, ვერტმფრენითაც შეფრინდნენ, ნახეს მყინვარი. ახლა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პრინციპში, ეს არის მყინვართან დაკავშირებული პრობლემა.**

**სხვათა შორის, ამ ტერიტორიაზე, დაახლოებით, 50 ჰექტარი ტერიტორია სრულადაა დაფარული 3-დან 5 მეტრამდე მიწის მასით და არის უზარმაზარი მყინვარის ნატეხები, ლოდები ჩამოტანილი პირდაპირ შოვში. შუაგულ შოვში არის მყინვარის ეს ლოდები! დასკვნები იქნება მალე...**

## ნიკო კახეთელიძე: რაჭის ეროვნული პარკი შეიქმნა ახლახან გერმანული KFZ-ს დაფინანსებით და რეინჯერების შერჩევა ჯერ კიდევ მიმდინარეობს

ამის შესახებ საკრებულოს წევრი და გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნიკო კახეთელიძე სოციალურ ქსელში წერს.

**„აი როგორ ხდება ტყუილის შეთხზვა! ამასთანავე ეს „მოჩხლართული“ ამბავი ხვდება არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში და ხდება ტყუილის გავრცელება.**

**1. ის რომ მეწყერის შეკავება შეუძლებელი იყო ამას არ უარყოფენ:**

**2. „რეინჯერებმა“ 27-ში შეატყობინეს შეგუბების და მეწყრული პროცესების შესახებ“ ვის შეატყობინეს? რეინჯერი არის დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელი და შეტყობინებაც უნდა გაეკეთებინათ ამ სააგენტოში. სად არის ეს შეტყობინება? საიდან გაიგო რომ შეატყობინეს? ამ შემთხვევაში**

რეინჯერები სად არიან? გვარი, სახელი? ვინმე კაპანაძეს ეს ინფორმაცია ლოგიკურად ხომ უნდა ჰქონდეს. ვინ არიან, თქვას!

3. "მდინარე სადღაც გუბდებოდა". სად გუბდებოდა? ვერ დაინახეს? შეტყობინებაში არ მიუთითეს სად გუბდებოდა?

4. ამ წუთას გადავამოწმე, რაჭის ეროვნული პარკი შეიქმნა ახლახანს გერმანული KFZ-ს დაფინანსებით და რეინჯერების შერჩევა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ჯერ არ დანიშნულა არავინ. გავაგრძელო?

აი ეს ფაქტი არის არაკაცობა და დიდი ტყუილის ფრაგმენტი. ამით შეცდომაში შეყავთ ყველა. დანარჩენი ფრაგმენტებიც გამოჩნდება...", – წერს ნიკო კახეთელიძე.

* * *

შოვში მეწყერი 3 აგვისტოს ჩამოწვა. ამ დროისთვის არსებული ოფიციალური მონაცემებით, სტიქიის შედეგად 18 ადამიანია დაღუპული, 17 ადამიანს კი ეძებენ.

## ბიძინა გიორგობიანი: ტელეჭინკების უვიცი პროპაგანდისტების ტყუილი!

მოკლედ დავწერ, რაჭაში და კონკრეტულად შოვში (ან ბუბაზე), ხის უკანონო ჭრაზე, რომლის შესახებაც წერენ და ლაპარაკობენ ტელეჭინკები და სოცქსელებით პატრიოტები, – ამის შესახებ სოციალურ ქსელში ყოფილი პოლიტპატიმარი ბიძინა გიორგობიანი წერს.

- რაჭა ერთ-ერთი ტყით ძლიერ დაფარული მხარეა;
- რაჭასა და სვანეთში ტყის ყოველწლიური ნამატი ბევრად აჭარბებს გამოყოფილ და ათვისებულ რესურსს;
- რაჭაში ბევრი სასოფლო სავარგული ხელახლა დაიფარა ტყით და გამოუსადეგარი გახდა მეურნეობისათვის;
- შოვის მიმდებარე ხეობებსა და მწვერვალებზე ხის ჭრა, დამზადება, დასაწყობება და მანქანით გამოტანა (გნებავთ კანონიერად, ან უკანონოდ) შეუძლებელია, ვინაიდან იქ 3-ხიდიანი მანქანებისთვისაც მიუდგომელი ადგილია;
- ასე, რომ მყინვარებიდან დაძრულ გლაციეოლოგიურ მასას არანაირი შეხება არ გააჩნია ტყის ჭრასთან და წარმოადგენს უვიცი პროპაგანდისტების ტყუილს", – წერს გიორგობიანი.

## ნინო თანდილაშვილი: მსგავსი მასშტაბის სტიქიის პროგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია

ყველა ინფორმაციასა და მონაცემზე დაყრდნობით, შოვის სტიქიასთან დაკავშირებით შემუშავდა დასკვნა, რომელიც დღეს გაეცნობა საზოგადოებას და რომელიც დაგროვილ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხს გასცემს. პირველადად შემიძლია ვთქვა, რომ საქმე გვქონდა რამდენიმე ბუნებრივი მოვლენის თანხვედრასთან, – ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ნინო თანდილაშვილმა გუშინ განაცხადა.



მისი თქმით, ასეთ დროს, მსგავსი მასშტაბის სტიქიის პროგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია.

## მარიამ ნინიძე: ძალიან დიდი მადლობა ჩვენს გმირ მაშველებს!

სოციალურ ქსელში **მერაბ ნინიძის ქალიშვილი – მარიამ ნინიძე** წერს, რომ სტიქიის დროს თავად შოვში იმყოფებოდა სამ შვილთან და დედასთან ერთად.

**„ძალიან დიდი მადლობა ჩვენს გმირ მაშველებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიჭებს და სასაზღვრო პოლიციას, რომლებიც მთელი ღამის განმავლობაში ჩვენთან იყვნენ სრულიად სველები, ტალახიანები, ჩვენთან ტყეტყე გადმოსულები, შიშველი ხელებით შეიარაღებულები გვიცავდნენ ღამე ტყეში, თავიანთი საკვები გაგვინაწილეს, სანამ ვერტმფრენმა არ მოგვაკითხა. გთხოვთ, დაუდასტურებელ ინფორმაციას ნუ გაავრცელებთ, გადაამოწმეთ სანდო წყაროსთან, ვისაც თქვენი თვალით არ გინახავთ, იქ რა ხდება, შორიდან მარტივია ლაპარაკი."** – წერს მარიამ ნინიძე.

## თავდაცვის ძალების სამხედროები სტიქიის ზონაში სამუშაოებს აგრძელებენ

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, თავდაცვის ძალების სამხედროები სტიქიის ზონაში სამუშაოებს აქტიურად განაგრძობენ.**

უწყების ცნობით, დამეწყრილ ტერიტორიაზე, სადაც გადაადგილება შეუძლებელი იყო, ასაწყობი საფეხმავლო ხიდები დამონტაჟდა. მისივე ინფორმაციით, აღნიშნული კონსტრუქციები სამხედრო მოსამსახურეებს და მაშველებს მეტი ფართობის შესწავლისა და გადაადგილების შესაძლებლობას აძლევს.



# მსოფლიო გვისამძიმრებს

### აშშ-ის საელჩო:

– ღრმა მწუხარებით ვუსამძიმრებთ შოვში გარდაცვლილთა ოჯახებსა და მეგობრებს და ვლოცულობთ დაკარგულთა დროულად პოვნისთვის.

ამ მძიმე წუთებში მაშველების თავდადება და ტრაგედიის პირისპირ ქართველი ხალხის გულწრფელი მხარდაჭერის სურვილით აღსავსე ერთიანობა შთამაგონებელია.

### ილჰამ ალიევი:

ძვირფასო პრემიერ-მინისტრო, ვიზიარებ თქვენს ტკივილს შოვში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით, ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ მსხვერპლთა ოჯახების მიმართ

### სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი არარატ მირზოიანი:

– ღრმა მწუხარებით შევიტყვე რაჭის რეგიონში მომხდარი სტიქიის შესახებ, რომელმაც ადამიანების სიცოცხლე შეიწირა. ვუსამძიმრებ მოძმე ქართველ ხალხს და საქართველოს ხელისუფლებას ამ მძიმე წუთებში, ხოლო დაღუპულთა ნათესავებს გამძლეობას და მოთმინებას ვუსურვებ.

### გერმანიის ელჩი პეტერ ფიშერი:

– გერმანიის სახელით, თანაგრძნობას ვუცხადებ რაჭაში, შოვში ჩამოწოლილი მეწყრის დროს დაზარალებულებს. ვფიქრობთ და ვლოცულობთ დაღუპულთა ოჯახებისთვის, დაშავებულებისა და სამაშველო სამუშაოებში მონაწილე ადამიანებისთვის.

### ზელენსკის სამძიმარი ქართველ ხალხს ქართულ ენაზე

– ღრმად თანავუგრძნობთ საქართველოს საზოგადოებას სტიქიური უბედურების გამო, რომელმაც ადამიანების სიცოცხლე შეიწირა. ვუსამძიმრებთ გარდაცვლილთა ნათესავებსა და ახლობლებს და მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ რაჭის მაღალმთიან რეგიონში მეწყერის ჩამოწოლის შედეგად ყველა დაშავებულს.

### შვედეთის საელჩო:

– შვედეთი სოლიდარობას უცხადებს საქართველოს გლოვის დროს და გულწრფელად უსამძიმრებს რაჭაში, შოვში მომხდარი ტრაგედიის მსხვერპლთა ოჯახებსა და მეგობრებს. ჩვენ ვადევნებთ თვალს მიმდინარე სამაშველო და საევაკუაციო ოპერაციას. ვიმედოვნებთ, რომ სტიქიის ზონაში დაკარგული და ჩარჩენილი ადამიანები უვნებლად დაბრუნდებიან სახლებში.

### ლიეტუვის საგარეო საქმეთა სამინისტრო:

– გულწრფელ სამძიმარს გამოვთქვამთ საქართველოს შოვის კურორტზე მეწყრის შედეგად დაღუპულთა გამო. ვუსურვებთ სწრაფ გამოჯანმრთელებას დაშავებულებს და სამაშველო ძალისხმევის წარმატების იმედი გვაქვს.

### ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო:

– ვგლოვობთ შოვის რეგიონში გამანადგურებელი მეწყრის შედეგად დაღუპულებს და ვიმედოვნებთ, რომ დაკარგულები უვნებლად დაბრუნდებიან. ამ ტრაგედიის დროს, ჩვენ გულით საქართველოს ხალხთან ვართ!..

### უზბეკეთის პრემიერი აბდულა არიპოვი:

უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი აბდულა არიპოვი კურორტ შოვში მეწყრის ჩამოწოლის შედეგად დაღუპულების გამო საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ოჯახებს, მთელს საქართველოს უსამძიმრებს.

## „არიერგარდის" სამძიმარი

აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი „არიერგარდი", ღრმა წუხილითა და თანაგრძნობით აღიქვამს იმ დიდ ტრაგედიას, რაც სტიქიის შედეგად თავს დაატყდა რაჭას, საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის, კურორტ შოვის მცხოვრებლებსა და დამსვენებლებს. ვუსამძიმრებთ სტიქიის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს და მათ ახლობლებს, სრულიად საქართველოს.

მომხდართან დაკავშირებით, 7 აგვისტოს გლოვის დღედ გამოცხადება თავს დამტყდარი უბედურების საყოველთაო გლოვის გამოხატულებაა.

აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო
ალიანს „არიერგარდის" სახელით

**გურამ სალარაძე,**
თავმჯდომარე

# შოვის ტრაგედიით „აღშფოთებული“ ოპოზიცია ახალ არეულობას გეგმავს?!




**...უბედურება მოხდა ქვეყანაში და ამის პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოყენებას რომ შეეცდები და მერე კიდევ ქვეყნის მომავალზე ვზრუნავო, იტყვი, ვინც დაგიჯერებს ან გრიყვია, ან თქვენნაირი უნამუსო. მაგრამ, რა ნამუსი უნდა მოსთხოვო თაკო ჩარკვიანს?! ეს ტუტრუცანა ქალი იმით არ კმაყოფილდება უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში რომ ზის და პარლამენტის წინ უნდა გავწვეო, გაიძახის.**

თან გვაყვედრის, დიდი ტრადიციების ოჯახის შვილი ვარ, პატრიოტი კაცის, საქართველოსთვის თავს შევწირავო.

აი, სულ რომ შუაზე გაიხეს, ამ ქალის გულწრფელობის ისევე არ მჯერა, როგორც „ხაზეს“ ბრექის, მაჭუტაძის ყიჟინის, „ჭიჭე“ ვაშაძის ყალბი პათოსის, ბოკუჩავას მუქარის და საერთოდ, ამ ნაყარნუყარა ოპოზიციის პატრიოტობის.

შოვის ტრაგედიამ ყველა რომ დაგვამწუხრა, ესენი შხამიანი პანდორას ყუთების ეკრანებიდან ჩასაფრებული ელოდებოდნენ, გაეგოთ რაც შეიძლება მეტი დაღუპულის შესახებ, რომ მერე ხელისუფლებისთვის დაებრალებინათ.

სულ ცოტა ხნის წინ ბათუმში კვერცხები დაუშინეს საკრუიზო ლაინერს, ვითომ ამით რუსეთზე შური იძიეს; ერთი ვიღაც ნაცაქტივისტი კი რიკოთზე წამოსკუპდა შემაღლებულ კორომზე და ბიძინა ივანიშვილმა ტყეები გაჩეხა, რიკოთზე მეწყერსაშიში ზონები გაჩნდა, არმატურით რომ უნდა გაემაგრებინათ, ის არმატურა ბიძინამ სახლში წაიღო, რაც დარჩა „ოცნების“ წევრებმა დაიტაცეს, ამიტომ ძირს „ქართული ოცნება“ და ძირს ბიძინა ივანიშვილიო, თან ამას ისეთი სახით ყვიროდა, გეგონებოდა მძვინვარე ლევიათანს ებრძოდა წყნარი ოკეანის შუაგულში...

სიცრუით, ზიზღით, შურით ცოცხლობენ ეს ადამიანები, დრაკულა რომ მზის ამოსვლას ვერ იტანდა, ისე ვერ იტანენ სასიხარულო ინფორმაციას – ჩვენი ქვეყნის თუნდაც მცირე წარმატება გულს უწუხებთ – სულ მწუხარებაში რომ ვიყოთ, ის უნდათ!..

ომში ესენი არ ვარგანან, შიშველ უკანალებს უშვერენ მესაზღვრეებს, ომის დროს გუდა-ნაბადი რომ აიკრეს და საზღვარზე ერთმანეთს ასწრებდნენ, ამის მოწმე და თვითმხილველ ადამიანებთან მე მისაუბრია და კადრებიც არსებობს ამის დასტურად. მშვიდობა ამათ არ უნდათ, უკრაინასავით ომში ჩართვისკენ უბიძგებენ საქართველოს, შვილებიც საზღვარგარეთ ჰყავთ გახიზნული... ეკონომიკური აღორძინების წინააღმდეგნი არიან, ტერიტორიებს რუსებს ჩუქნიან და ჩვენ გვეძახიან ომისგან თავის ამრიდებელ მშიშრებს და პუტინისტებს...

რუსეთისკენ მიაქანებთ საქართველოს, რუსული ჩექმისკენო, დასავლეთი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაგვეხმარებაო...

მთლიანობა კი არა, იმ მიწა-წყალს ხომ ელოლიავებით, სადაც ცხოვრობთ, იმ ადამიანებს ხომ გულში იკრავთ, ვის გვერდითაც ხართ?

გეზიზღებათ ყველაფერი ქართული – ბერძენიშვილების, გუბაზა სანიკიძის, გიგი თევზაძის, ზუღაძეების, მათი მსგავსი ლიბერალების ჭკუაზე დადიხართ და ქართველებს ციხეში ჩასალპობებს, უწიგნურებს, ჩამორჩენილებს გვიწოდებთ.

ნაცები, ნაცსექტანტები, მიშას მომხრეები, გარემოებათა გამო არამომხრე ნაცნაგლეჯები, ე.წ. ოპოზიციონერები – კოლაბორაციონისტი, სულგაყიდული, პოლიტიკას მიწებებული ხარბი სუბიექტები მხოლოდ დასავლეთში ხედავენ პირად სარგებელს, მშველელს და მხსნელს, სადაც ლგბტ დროშებს გაშლიან და საქართველოს გროშებზე გაყიდიან, ოღონდ კარგად ჭამონ, სვან, კარგი ჩაიცვან და ევროპაში იგულაონ.

თქვენ გგონიათ სხვა ინტერესი ან სხვა იდეალები აქვთ?

არ დაიჯეროთ!

არც არავის სჯერა!

ხალხმა ყველაფერი იცის და ხვდება, ესენიც ხვდებიან, რომ მათ ნებით არავინ აღარ დააბრუნებს ხელისუფლებაში და მხოლოდ დასავლეთს შეუძლია მათი რეანიმაცია, რათა ქართველ ხალხს კვლავ კისერზე მოაჯდნენ...

მხოლოდ მათ შეუძლიათ მკვლელი – დემოკრატიის შუქურად წარმოაჩინონ...

მხოლოდ მათ შეუძლიათ 20 000-ზე მეტი ციხეში გაუპატიურებული კავკასიელი მამაკაცი პოტენციურ ლგბტ პირად ჩათვალონ, ქართული ღირსება ფეხქვეშ დაიფინონ და ჩვენი ტრადიციები, რომლებიც ქართველის სულის ნაწილია, ლაფში ამოსვარონ...

რამდენი ტორნადო, მეწყერი, სტიქიური უბედურებები ხდება ამერიკაში, რამდენი ღვარცოფი გადაუვლის იაპონიას, აგერ ახლახან თურქეთი ლამის დაინგრა და ამისთვის ვინ მოითხოვა „კორუმპირებული“ მთავრობების გადაყენება?!

საერთოდ, მთაში თუ არის ეს ხალხი ნამყოფი, თუ მარტო ამერიკის და ევროპის დიდ ქალაქებში „დაშოპინგობენ“?!ღამით რაჭის მთებში შვეულმფრენი როგორ იმუშავებდა, ანდა მეწყერს წინასწარ ვინ იწინასწარმეტყველებდა, მიწა რომ მოწყდება, ისეთი სიმძიმით მოდის წყლით გაჟღენთილი მასა, რომ იქიდან, ჩიტიც კი ვერ გამოასწრებს...

რამდენიმე წლის წინ ჩოხატაურში, ჩემს სოფელში, ერთ დილით თავისი სახლის აივანზე გამოსული ახალგაზრდა კაცი სახლიანად მეწყერმა ისე ჩაიტანა, ახლა იქ მხოლოდ გადასწორებული მიწაა. ის პატიოსანი კაცი კი ვერ იპოვეს.

ქანების შლა, მოძრაობა, ზვავი, მეწყერი ისეთი რამეა, შეუძლებელია წინასწარ გაიგო, რადგან, ამის ნიშნები არ არსებობს...

მაშველი ვერტმფრენები არ ჰყავთ და იმიტომ ვერ უშველეს დროულად ხალხსო.

სუპერ ვერტმფრენი მიშიკოს ჰყავდა, საკუთრად, ქალბატონებს დაასეირნებდა ხან ბათუმში, ხან სვანეთში, ხან სად, და ხან – სად... ხან ბოტებით სპეკულანტობდა სტიქიის დროს, მეორე დღეს კი იტალიაში მაღაზიებში დადიოდა მეტრიანი ნაბიჯებით და უკან დაცვა მისდევდა მორჩილად, „საკვოიაჟით“, რომელიც ნავაჭრი ტანსაცმლით იყო გამოტენილი...

მაინც თავს გვამადლიან.

აბა, როგორ გინდა, „ოლიგარქატი“ და „კორუმპირებული მთავრობა“ ხომ უნდა დაამხონ?!

ამ არამზადების ნაძარცვი რომ დაბრუნდეს საქართველოს ბიუჯეტში, ვერტმფრენებს კი არა, სტრატეგიულ ავიაციასაც ვიყიდით!

რამდენიმე დღის წინათ „ნაცმოძრაობის“ აქტიურმა წევრმა მითხრა: სერიოზული მზადებაა ჩვენთან, შემოდგომამდე ვერ მოვიცდით, დიდი გამოსვლები და პროვოკაციები არის დაგეგმილი, ხელისუფლება უნდა დაემხოსო! თვითონ არა ვარ ამის მომხრე, მაგრამ მე ერთი ვარ, ისინი ბევრნი არიანო. ამ საქმეში აქტიურად არის ჩართული აშშ-ის საელჩო და ჩვენი „ბიჭები“: კეზერაშვილი, მერაბიშვილი, გახარია და რამდენიმე ჩვენი მომხრე ბიზნესმენი, რომლებიც ერთ დაძახილზევე მზად არიან თავიანთი რესურსებით გვერდით დაუდგნენ ოპოზიციას და ეს ხელისუფლება ძალადობრივად ჩამოაშორონ მმართველობას, რადგან აქციებით ვერაფერს მივაღწიეთო.

**წარმოგიდგენიათ, რა მდგომარეობაშია ქვეყანა და ესენი კიდევ დამხობაზე, რევოლუციაზე ფიქრობენ.**

**საბედნიეროდ, ჩვენში ძალიან ბევრია ისეთი ადამიანი, რომლებსაც უკვე ყელში ამოუვიდათ ამათი ტლინკაობა, ხელისუფლება კი მშვიდად არის – ოპოზიციამ რამდენიც არ უნდა იბაქიბუქოს, ქართველი ხალხი მათ ქვეყნის სათავეში არ მოიყვანს, კოლექტიური ნაცმოძრაობა საბოლოოდ ჩაიძირებაო!**

**ირანდა კალანდაძე**

## „მატარებელი უკვე წავიდა“?!

**დაგვიანება 11 წლით... საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველთვის ითხოვდა ნაციონალების გასამართლებას და ეს ერთადერთ სამართლებრივ გზად მიაჩნდა იმისთვის, რომ ქუჩის ვენდეტა არ დაწყებულიყო. თუმცა წლების განმავლობაში მმართველი გუნდი ნაცების მიმართ სიტყვების „დანაშაულებრივი რეჟიმის“ ხსენებასაც ერიდებოდა.**

ასე მოხდა 2019 წელს, როცა პარლამენტმა კენჭი უყარა „პატრიოტთა ალიანსის“ რეზოლუციას, რომლითაც **სააკაშვილ-ბოკერიას** გუნდი დამნაშავე რეჟიმად უნდა გამოცხადებულიყო და წინა ხელისუფლების წარმომადგენლებზე სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულიყო, რასაც ხელმოწერებით საქართველოს 250 000 მოქალაქე ითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ რეზოლუციას „ქართული ოცნების“ 38 წევრმა მხარი დაუჭირა, არასაკმარისი ხმების გამო რეზოლუცია ჩავარდა.

უფრო ადრე, 2018 წელს პარლამენტმა უკუაგდო და არ მიიღო გაერთიანება „ზვიადის გზა – უფლის სახელით“ საკანონმდებლო წინადადება სააკაშვილის ხელისუფლების „დანაშაულებრივ რეჟიმად“ გამოცხადების შესახებ იმ მოტივით, რომ ნაცების პარტიის აკრძალვა საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივა იყო და საკონსტიტუციოს მხოლოდ მაშინ შეეძლო პარტიის აკრძალვა, თუკი იგი ძალადობრივი გზით შეეცდებოდა საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობას და ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფას.




2015 წელს „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე **კახა კუკავა** „ნაცმოძრაობისთვის“ ლუსტრაციის კანონის მიღებას ითხოვდა, რაც დანაშაულებრივი რეჟიმის წარმომადგენლებს მაღალი თანამდებობის დაკავებას აუკრძალავდა და, ასევე, ყოფილი სპეცსამსახურების წარმომადგენლები ვერასოდეს მოხვდებოდნენ არასამთავრობო და მედია-სპექტრში. თუმცა კახა კუკავას მოთხოვნაც არ დაკმაყოფილდა.

## მივესალმები სოზარ სუბარის ინიციატივას, თუმცა გამოსავალი ის არის, რომ 2024 წლის არჩევნებში ხალხმა არ დაუშვას „ნაცმოძრაობა“ პარლამენტში

2013 წელს „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ეგიდით გამართული ყრილობის მოთხოვნაც არ გაიზიარა საქართველოს პარლამენტმა იმის თაობაზე, რომ რეჟიმი უნდა გასამართლდეს.

დღეს კი, ამდენი ხნის დაგვიანებით, დღის წესრიგში დადგა „ნაცმოძრაობის“ დანაშაულებრივი საქმიანობის შესწავლა და მისი გასამართლება, რაც საქართველოს პარლამენტმა უნდა დაიწყოს.

„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერის **სოზარ სუბარის** ეს ინიციატივა მას შემდეგ გახმიანდა, რაც **როინ შავაძის** სასტიკი მკვლელობიდან 15 წლის შემდეგ ნაცებმა კვლავაც დაიწყეს მტკიცება, რომ შავაძის მკვლელობა თურმე სწორი საქციელი იყო. სუბარის თქმით, „ნაცმოძრაობის“ გასამართლება ისევე უნდა მოხდეს, როგორც ეს მოლდოვაში განხორციელდა, სადაც საკონსტიტუციო სასამართლომ აკრძალა ოპოზიციური პარტია „შორი“ და ევროპამაც მოუწონა მოლდოვას ეს ნაბიჯი.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** მიიჩნევს, რომ აღნიშნული ინიციატივა არ უნდა დავუკარგოთ „პატრიოტთა ალიანსს“, რომელმაც პარლამენტის ტრიბუნიდან დააყენა ეს საკითხი, მაგრამ მაშინ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა იქიდან გამომდინარე, რომ სხვანაირი საერთაშორისო კონიუნქტურა იყო.

იხ. 7 გვ.



# ნაშთი სასტიკი დღეებისა...



## აგვისტოს ომის მუზეუმი ერგნეთში

„...ვისია მზერა ესოდენ მტრული,
ვინ იმკის ჩემგან ნაფერებ ყანას,
გამოღმით მე ვარ გამსკდარი გულით,
გაღმით დაცლილი სოფლები ჩანან."

**გულამოსკვნილი დასძენს ქსანდალეული, ჩვენი გამოჩენილი პოეტი მანანა ჩიტიშვილი და იქვე მწარედ ხმიანობს: „ვინ გაყო ორად სიცოცხლე ჩემი – „საზღვარს გადმოღმა" და „საზღვარს იქით..."**

იციან, გორის მუნიციპალიტეტის საოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ ერგნეთში, კარგად იციან მშვიდობის ფასი, რამეთუ ომის საშინელება, – ნგრევა და მსხვერპლი, – საკუთარი თვალით იხილეს. ნანული დოიჯაშვილიც ნაფრონტალი სოფლის მკვიდრია. 2008 წლის აგვისტოს იმ ქარ-ცეცხლიან დღეებში, დოიჯაშვილების შეძლებული ოჯახის ჭარმაგმა ცოლ-ქმარმა, მშობლიური სამკვიდრო ვერ მიატოვა და შეიარაღებული მოროდიორების შემოსევას ძლივს გადაურჩა, მშვიდობიანი სოფელი კი დაიზაფრა.

ძნელია, ძალზე ძნელი გასახსენებლად ის განვლილი ავბედითი წელი. მარიამობის თვე ზეობდა ცხინვალის რეგიონში, როცა როკის გვირაბიდან რუსეთის 58-ე არმიის კოლონა შემოიჭრა და გეზი ცხინვალისკენ აიღო. დე ფაქტო რეჟიმების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების გარდა, რუსმა სამხედროებმა ასევე დაიკავეს კოდორის ხეობა, ფოთი, ზუგდიდი, სენაკი, ახალგორი, გორის რაიონის რამდენიმე სოფელი და საჩხერის რაიონის სოფელი პერევი.

მაშინ, აგვისტოს გარიჟრაჟზე, „აღრიალებული ლიახვი უშედეგოდ ცდილობდა მზის თავების კვნესა-გოდების ჩახშობას..." **„დენთის კვამლგახვეულ ლიახვისპირა ქალაქში, გორის ჯავშან-სატანკო ბატალიონის ოცმეთაურის – გია რომელაშვილის ტანკი შევიდა პირველი. როგორც მამა - მურაზ რომელაშვილი აღნიშნავს, ცხინვალში, მოსკოვის ქუჩაზე, ააფეთქეს გელას ტანკი, რომელიც ძმას უკან მისდევდა. ეს ვერ გაიგო გიამ, უკან რომ ტანკები აუფეთქეს და გააგრძელა გზა. რომელიღაც კუთხეში შევიდა და საით წავიდა, ვერავინ დაინახა. რაც შეეხება გელას, აფეთქებული ტანკიდან ამოსვლა მოასწრო და იქვე შენობაში შევარდა. აღმოჩნდა, რომ იქ ოსებისა და რუსების შტაბი ყოფილა. მთელი ღამე აწამეს და დილით დახვრიტეს. გიას შესახებ იციან ის, რომ ტანკი ოსების მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა ბარანკევიჩმა პირადად გაანადგურა..."**

2008 წლის ბოლომდე ძმები უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდნენ, დნმ-ის ანალიზიდან გაირკვა, რომ ოკუპაციის ზონიდან გადმოსვენებული ჯარისკაცების ცხედრებიდან ერთი გელა რომელაშვილისა იყო. გიას ცხედარს დღემდე ვერ მიაკვლიეს...

ცხელი აგვისტოს ომი და შინდისის ლომგულა ბიჭების, – **ალექსანდრე ონიანის, ემზარ წილოსანის, ვეფხია ჯიშკარიანის, ზვიად კაცაძის, თეიმურაზ ბერიძის, ილია გაბუნიას, ილია შეყლაშვილის, ირაკლი ჯანელიძის, კახა კოშაძის, ლევან მელქაძის, მარლენ ბარამიას, მიხეილ დვალიშვილის, ნიკოლოზ ფორჩხიძის, რომან ზოიძის, რუსლან წულაძის, ფელიქს კაკაურიძის, შმაგი კუპატაძის, –** „საქმენი საგმირონი," ყოველი ქართველის ხატება-საფიცარია, რადგანაც მათთვის **„ჩვიდმეტი გული, სიკვდილმისჯილი, ზარ-ჩამოკრული სამშობლო ჩემი"**-ს მარად განუყოფელი ცნებაა...

მართლაც რომ მწარედ გასახსენებელია აგვისტოს ხუთდღიანი ომის ექო:

იზოლდა ხუბულური ხუთი თვე უწყვეტად ეძებდა თავის 20 წლის ჯარისკაც შვილს, რომელიც ცხინვალში ტყვედ იყო ჩავარდნილი და ცოცხალი აღარ დაბრუნებულა.

მურაზ კოშორიძე გორის ცენტრში აფეთქდა. კასეტური ბომბის ნამსხვრევები მოხვდა და რამდენიმე ოპერაცია დასჭირდა, მაგრამ ამაოდ...

ვალია ადარაშვილი თავის ვაჟთან ერთად ცხინვალის ციხეში აღმოჩნდა. შვილს მისივე თვალწინ სცემდნენ და აწამებდნენ. ისინი პატიმრობიდან მხოლოდ აგვისტოს ბოლოს გაათავისუფლეს.

აჩაბეთელ ნინო ბორცვაძეს არასდროს დაავიწყდება აწიოკებული სოფლიდან გამოქცევისას მის უკან როგორ ფეთქდებოდნენ ნაღმები, როგორ იწვოდა და ნადგურდებოდა დიდი ლიახვის ხეობის სოფლები.

ქურთის საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების ექიმს ნუნუ ჭულუხაძეს 7 აგვისტოს მორიგეობა დაემთხვა, საკუთარი თვალით ნახა ომის სისასტიკე...

გადამთიელებმა არ დაინდეს და სახლში გამოწვეს ხეობის სამაგალითო აჩაბეთელები: ნანო მინდიაშვილი, ლევან რაზმაძე, ხოლო გიორგი (ჟორა) ბაბუციძე მეუღლის თვალწინ გამოასალმეს სიცოცხლეს...

ხუთდღიანი ომის ცეცხლში ასევე გახვეული იყო ქართლის მეთაური ქალაქი – გორი...

ერგნელი ლია ჩლაჩიძის შფოთიანი ცხოვრების მთავარი ლაიტმოტივია 2008 წლის აგვისტოს ომის საშინელებათა ამოძახილი. სამშობლოსთვის თავდადებულთა არდავიწყება გახლავთ მისი მედეგობის და ოკუპაციასთან შეურიგებელი ბრძოლის მაგალითი. ამჟამად, პატრიოტი ქართველის საცხოვრისი, რუსეთ-საქართველოს ომის გამოძახილია, სადაც ნახავთ აგვისტოს ომის მუზეუმს.

საზოგადოებაში აღიარებულ-დაფასებული, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი დეპუტატის ნაომარ, დამწვარ სახლში განთავსებულ მუზეუმს დამთვალიერებელი არ აკლია როგორც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ისე საზღვარგარეთის ტურისტებისგანაც.

თავადაც, სამი შვილის გამზრდელი, საამაყო დედა, ომს ტკივილის გარეშე არ დაუტოვებია. ჯერ კიდევ 1991 წელს, ქართულ-ოსური ეთნიკური დაპირისპირების ცხარე დღეებში, სამშობლოს სიყვარულით დამაშვრალი ახალგაზრდა მეუღლე ზაქრო ჩლაჩიძე, ცხინვალიდან – სნაიპერის ტყვიას ემსხვერპლა. ლიახვისპირელი მანდილოსანი აქტიურადაა ჩართული „ქალები მთელი მსოფლიოდან კონფლიქტების, მშვიდობის, უსაფრთხოებისა და საქართველოს ევროინტეგრაციის შესახებ" მოძრაობაში.

დევნილ ქალთა ასოციაცია „თანხმობის" ხელმძღვანელი იულია ხარაიშვილი: **„ქალბატონი ლია ჩლაჩიძე გავიცანი ერგნეთში. მისი სახლიდან სულ რაღაც 15 წუთის გზა-სავალია ცხინვალამდე. ომის მერე, საკუთარ დამწვარ სახლში აგვისტოს უმწვავესი დღეების ამსახველი მუზეუმი მოაწყო. ნატყვიარი თუ ნაღმებით დაზიანებული კედლების ფონზე, ფოტოები ახლო წარსულში, თვალწარმტაცი სოფლის ნგრევის შედეგებს გვახსენებს. იქვე, შეუპოვარი მანდილოსანი ომის უმძიმეს ეპიზოდებს მოგვითხრობს..."**

ერგნეთის აგვისტოს ომის მუზეუმის დამფუძნებელმა, ღირსეულმა მამულიშვილმა ლია ჩლაჩიძემ, ჩვენთან საუბრისას გულისტკივილით აღნიშნა, რომ „წელს, ფიზიკური ტრავმის გამო, დაირღვა შვიდწლიანი სააღდგომო რიტუალი. ვეღარ მივედი საოკუპაციო ხაზთან – მავთულხლართებთან, ვეღარ დავანთე სანთელი იქით დარჩენილი მიცვალებულების სახელზე, რომლებიც კარგა ხანია, გველოდებიან. ვეღარც წითელი კვერცხები და „პასკა"დავტოვე, ტიტებსა და ნარცისებთან ერთად, ვეღარ დავანთე თაფლის სანთელი „აკრძალულ" მწვანე ღობეზე...

„უფლის შეწევნით, მალე აიშლება ეს შიშის მომგვრელი მავთულხლართები და მონატრებული სიყვარულით მივალთ ახლობელთა საფლავებთან..."

**„კიდევაც ვნახავ გაზაფხულს..." გამარჯვების მაცნედ დაიგუგუნებს დედო ზარი, ადგილის დედა მიუხმობს და ივერიელთა ძირძველი მემკვიდრენი ზარ-ზეიმით დაუბრუნდებიან ღვთისმშობლის წილხვედრ მამულეთს, – წინაპართა კერას!**

**როზერტ ოდიკაძე,**

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.**



---

# შინდისი

## ლიახვთან არაგველნი ყვირიან!

მე უთვისტომო და გარეწარი
თქვენ გაგიხსენებთ და დავღონდები.

**გ. ტაბიძე „შინდისის ჭადრებს"**

გაცოცხლდნენ წინაპართა სულები,
გაოცდნენ ყველანი ამ ქაოსთან.
არც – არა რომ უკვირდა სრულებით,
ერეკლე მეორეც კი გაოცდა.

კითხულობს გალაკტიონ ტაბიძე,
ჭადრის რომ აშრიალდა ფოთლები:
შავი ზღვის რომ ბინადრობს ნაპირზე,
ნეტავ აქ რა უნდაო ფოთელ ბიჭს?!

ცრემლები სდის თორნიკე ერისთავს,
ლიახვთან არაგველნი ყვირიან,
აქ მოჰკრავ ხიმშიაშვილ სელიმს თვალს
და ვაჟას ბახტრიონელ კვირიას.

მოჰყვება გორის ციხე სიმონ დიდს,
მოსულა გორგასალი მშვილდისრით.
ამბროსი ხელაია სინოდის
სხდომას აქ ატარებს, შინდისში...

ქართველი მებრძოლები გარეწარს
შეასკდნენ დღეს მკერდების ქუხილად.
სიკვდილმა აქ რომ კალო გალეწა,
ისეთი ჯერ არავის უხილავს.

აქამდე ბოლმის გორგალს ვითმენდი,
ვერავინ გამოვყავი ლაშქარში.
გმირების პანთეონში ჩვიდმეტი
ივანებს შინდისელი ვაჟკაცი.

**ჯემალ ინჯია**

**ღირსება არის ის, რის გამოც პატივს სცემენ ენდობიან და ერთგულებენ პიროვნებას, პიროვნებათა ჯგუფს, ერს, სახელმწიფოს. ძლიერმა შეიძლება, დაიმორჩილოს მასზე უფრო სუსტი, მაგრამ ის ვერ შესძლებს, მისი პატივისცემა და ერთგულება მოიპოვოს.**

**ღირსება ადამიანის რაიმე უპირატესობა კი არ არის მეორე ადამიანის მიმართ, არამედ პიროვნების ზნეობრივი მდგომარეობის არსებითი შემადგენელი ნაწილია, რომელიც განსაზღვრავს მის ადგილსა და ფუნქციას ამ ცისქვეშეთში და მისადმი სხვა ადამიანების დამოკიდებულების შინაარსსა და ხარისხს.**

**ჭეშმარიტი პიროვნებისთვის ღირსების აყრა, ან დაკარგვა სიკვდილის ტოლფასია. ღირსებააყრილი ადამიანი ვერ იტყვის, „ღირსება კი ამყარეს, მაგრამ...“ არავითარი მაგრამ ასეთ დროს არ არსებობს!**

**ასეა, მას შემდეგ, რაც ადამიანის წინაპარი ველურობიდან გამოვიდა და სოციალურ არსებად იქცა.**



# ღირსების ღია გაკვეთილი აწინდელი და მომავალი ხელისუფლებებისთვის



**ცნება-ტერმინი „ღირსება“ ხშირად ისმის ყოველდღიურ მეტყველებაში, ტელეეკრანებიდანაც, სახელმწიფო ტრიბუნებიდანაც: „ღირსეული კაცი“, „უღირსი საქციელი“, „ეროვნული ღირსება“ და ა. შ. ამას რომ ვისმენ და ვაკვირდები, ძალიან მეეჭვება, რომ ამის მთქმელთა დიდმა უმრავლესობამ იცოდეს, რა არის ღირსება და რა – უღირსობა.**

ლომი ცხოველთა მეფედ არის მიჩნეული, მას ეს ტიტული თვითონ კი არ მოუპოვებია, არც მოუპარავს და, ისე მგონია, რომ თვითონაც არ იცის, მეფედ რომ თვლიან. ადამიანებმა უწოდეს მას მეფე, რადგან მისი საქციელი ძალიან ჰგავს ღირსეული კაცის საქციელს, რითი? იმით, რომ სანადიროდ რომ გამოდის, ღრიალებს და ამით ამცნობს ცხოველთა სამყაროს, სანადიროდ გამოვდივარო. კიდევ რითი, იცით? არავისთან ბრძოლაში უკან არ იხევს, რადგან არავინ მიაჩნია თავის ღირსეულ მეტოქედ! მხოლოდ ლომთან ჭიდილში შეიძლება დაიხიოს უკან, თორემ აფთრების ათასეული რომ შემოერტყას გარს, შეაკვდება და უკან არ დაიხევს, არ გაიქცევა. მეფეა და მეფე მხოლოდ ღირსეული უნდა იყოს. ასეა ეს და ყოველ ღირსეულ კაცს თავისთავი მეფე უნდა ეგონოს იქ და იმ საქმეში, სადაც არის და რასაც აკეთებს, მით უფრო, თუ სხვათა წინამძღოლია და მათი ბედი აბარია.

ადამიანურ სამყაროში ასეა: ღირსეულ კაცს არა მარტო მოყვრები, მტრებიც პატივს სცემენ, თუ რა თქმა უნდა, ის მტრები ღირსეული ადამიანები არიან. ღირსეული კაცები უღირსებოებთან არც მეგობრობენ და არც მტრობენ. ღირსეული კაცი უღირსებთან არანაირ ურთიერთობაში არ შევა, ისევე, როგორც სიბინძურეში ამოვლებულ საგანს ხელში არ აიღებს.

სახელმწიფო მართვა მხოლოდ ღირსეულ კაცებს ხელეწიფებათ, რომლებიც არც სხვის, თუნდაც მტრის ღირსებას ხელყოფენ და არც სხვისგან მოითმენენ ამას.

ჩვენი წინაპრები ღირსეული ადამიანები იყვნენ და მტრებიც ღირსეული ჰყავდათ!

ცოტნე დადიანის გმირობის ამბავი ყველამ, ასე თუ ისე, იცის, მაგრამ გავიხსენებ მაინც: კოხტასთავის შეთქმულები რომ დაატყვევეს მონღოლებმა, დანაშაული რომ ეღიარებინათ, წელზევით გააშიშვლეს, თაფლი წაუსვეს ზურგზე და თაკარა მზეში დაყარეს მოედანზე. შეთქმულების მონაწილე ცოტნე დადიანი ვერ დაიჭირეს, რადგან იგი დასავლეთ საქართველოში იყო გადასული უკვე და მონღოლთა ხელი იქ ვერ მისწვდებოდა. თანამზრახველთა დატყვევებისა და წამების ამბავი რომ შეიტყო, გამობრუნდა და წამებულებთან მივიდა, ზურგი გაიშიშვლა, თაფლი იცხო და მათ გვერდით დაწვა: თუ ამ უდანაშაულო ხალხს სჯით, მეც დამსაჯეთ, რადგან იმ თავყრილობაზე მეც მათთან ერთად ვიყავი და ცუდი არაფერი განგვიზრახავსო.

ამ ეპიზოდს ასე გვასწავლიდნენ სკოლაში და ასეა ახსნილი ისტორიის სახელმძღვანელოებში დღესაც: ცოტნეს მამაცობითა და თავდადებით მოხიბლულმა მონღოლებმა დაუჯერეს ცოტნეს და შეთქმულები გაათავისუფლეს.

* * *

**მონღოლები ასეთი გულუბრყვილოები რომ ყოფილიყვნენ, ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ იმპერიას კი ვერ შექმნიდნენ, რომელიც შემდგომში რამდენიმე უძლიერეს მონღოლურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, ცოტნეს საქციელით კი არ მოტყუებულა ის მონღოლი ნოინი, მეგობრისადმი მისი თავდადება დააფასა, რადგან ღირსეული მეომარი იყო თვითონ, ამის თაობაზე შოთა ნიშნიანიძემ შესანიშნავი ლექსი დაწერა, რომლის ერთ ფრაგმენტს აქვე შეგახსენებთ: „...გმირია ცოტნე, მაგრამ არ დავივიწყოთ სახედაღრეჯილი გმირი მონღოლი, ვაჟკაცობის და თავდადების უბადლო მცოდნე“.**

ჭეშმარიტად!

მეფე დემეტრე მეორე დიდი სახელმწიფოებრივი საქმიანობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ, როდესაც მონღოლებთან დადებული, რაღაც პირობის შეუსრულებლობის გამო, „ოქროს ურდოში“ დაიბარეს, სადაც უეჭველი სიკვდილი ელოდა, არ გაქცეულა და დასავლეთ საქართველოს მთებში არ შეუფარებია თავი, რადგან იცოდა: თუ „იქ“ არ გამოცხადდებოდა, საქართველოს ააოხრებდნენ მონღოლები. წავიდა და თავი დადო საჯალათო კუნძზე, როგორც ერის ღირსეულ მეთაურს შეეფერებოდა, მონღოლებიც ღირსეულად მოექცნენ და არ აუოხრებიათ საქართველო!

ღირსეული ქართველები მხოლოდ წარსულში კი არ გვყავდნენ, ჩვენს დროშიც იყვნენ და არიან დღესაც, ორი ქართველი ქალის, ორი თამარის საქციელი უნდა გავიხსენო უთუოდ. ეს ამბავი კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში მოხდა და დღესაც ლეგენდასავით ახსოვთ დიდი და პატარა თამარის ისტორია ახალქალაქელებს.

**დიდ სამამულო ომამდე ერთ კარგ გოგოსა და ბიჭს ერთმანეთი უყვარდათ, შეუღლება ვერ მოასწრეს, ომი დაიწყო, ბიჭი ჯარში გაიწვიეს, იქიდან დედას მოსწერა, დედი, მე და თამარს ერთმანეთი გვიყვარს, ჩამოვალ თუ არა, მაშინვე ცოლად შევირთავ და შენ მანამდე მარტო რომ არ იყო, თამარი ჩვენსა გადმოიყვანე და ერთად იცხოვრეთო. ბიჭი დედისერთა იყო და ამიტომ ორმა თამარმა ერთად დაიწყეს ცხოვრება. ომის მიწურულს სოფელში დეპეშა მოვიდა, თამარის ვაჟი უგზო-უკვლოდ დაიკარგაო. ორმა თამარმა ისევ ერთად განაგრძეს ცხოვრება, ბიჭის დანაბარები ანდერძად მიიჩნიეს და იმიტომ!**

**გავიდა ხანი და 60-იანი წლების დასაწყისში უფროსმა თამარმა საფრანგეთიდან „დაკარგული“ შვილის წერილი მიიღო: დედი, ომის ბოლოხანს ტყვედ ჩავვარდი, საფრანგეთის ტერიტორიაზე მომათავსეს ტყვეთა ბანაკში. იქ ერთი ფრანგი გოგო გავიცანი, ომის დამთავრების შემდეგ ცოლად შევირთე, ამდენ ხანს ვერ დაგიკავშირდი, სახიფათო იყო, ახლა შენთვის ვიზაც გავაკეთე, შენი ჩამოსვლის ნებართვაც მივიღე, ყველაფერი გამოგზავნილია და გელოდებიო.**

**ამასობაში „პატარა“ თამარი სოფლსაბჭოს თავმჯდომარე გახდა, ცხადია, არ გათხოვდა და „დიდ“ თამართან ერთად ცხოვრობდა, როგორც მისი „ომში დაღუპული ვაჟის ქვრივი“. როგორ მოიქცა „პატარა“ თამარი, რომელიც თავის „დედამთილ“ დიდ თამართან თითქმის ოცი წელი ცხოვრობდა! დიდ თამარს უთხრა,“ წადი, დედა, ერთადერთი შვილი ცოცხალი გამოგიჩნდა და შვილიშვილებსაც და მასაც ერთად ჩაეხუტეო“...**

**არაო, „დიდმა“ თამარმა, ჩემი შვილი შენ ხარო, ის შვილი ოცი წლის წინ გამოვიტირე და გუშინდლამდე სულ გულში ვტიროდიო. ასეც შეუთვალა იმ თავის „გადარჩენილ“ შვილს!**

**ამას ჰქვია ღირსება, რომელიც არც „მოიპარვის,“ არც ძალით „წაირთმევის.“ ეს მხოლოდ ზნეობრივი მდგომარეობაა!**

აბა, შენ რომ მეგობარ სახელმწიფოდ მიგაჩნია, იმის ხელისუფლება თუ აბუჩად გიგდებს, თავზე გასკორავს, რა ეშმაკმა გათქმევინა, მე მასთან ცალმხრივ მეგობრობას გავაგრძელებო. შენ ან მეგობრობა არ იცი, ან ისეთი ღირსებადაკარგული ხარ, სახეში შეფურთხებულის მოწმენდისაც კი გეშინია; ამის შემდეგ გინდა, რომ შინაურები და უცხოები პატივს გცემდნენ და რიდი ჰქონდეთ შენი?! მეტი არ აუდგა გვერდები საქართველოს მტრებს!

ისე, კი, ვინც არ იცის, რა არის მეგობრობა და მომავალში პოლიტიკოსობას აპირებს, იცოდეს, რომ ცალმხრივი მეგობრობა, ან პარტნიორობა არ არსებობს. მეგობრობა და პარტნიორობა ორივე მხრიდან ერთგულებასა და პატივისცემას გულისხმობს. ერთი კაცი თუ მეორე კაცის ერთგული და დიდი პასუხისმგებლობით არის გამსჭვალული მისადმი, იმ მეორე კაცს კი სულაც ფეხებზე ჰკიდია იმ პირველის ინტერესები და სურვილები, მაშინ ამას მონობა ჰქვია! მონა ვალდებულია, ბატონის ერთგული იყოს, ორგულობისთვის კი სიცოცხლით აგებს პასუხს. ეს თუ არ იცი, ხალხის წინამძღოლი და ხელისუფალი ვერ იქნები. ცოტა ხნით შეიძლება, მოატყუო ხალხი, მისი ერთი ნაწილი მაინც, მუდმივად მოტყუება შეუძლებელია. არ შეიძლება, არ გამოჩნდეს კაცი, რომელიც საჯაროდ იყვირებს, ჩვენი ხელისუფალი (ან ხელისუფლება) მონააო, (მონობა კი უზნეობის ყველაზე გაშიშვლებული მაგალითია!).ამას არცერთ ხელისუფლებას არ ვუსურვებ, რადგან ღირსების მქონე ადამიანების მასობრივი აღშფოთების შეჩერება ძეხორციელს არავის ძალუძს. არა და, ღისებაშერჩენილი ადამიანები საქართველოში უღირსებოებზე ათასჯერ მეტია...

ბევრნი ისინი არიან, რომლებიც ამასწინათ მშვიდობიანი მარშით გამოვიდნენ იმ უზნეობის აღსაკვეთად, რომელიც ლგბტ ფესტივალის სახელით უნდა ჩატარებულიყო ლისის ტბის მიდამოებში. ვაჟა-ფშაველას ძეგლიდან დაიწყო მსვლელობა ღირსეული ქართველების წარმომადგენლების ათიათასობით აქტივისტმა. ხელისუფლებამ ლისის ტბის მიდამოებში პოლიციელთა უპრეცედენტო რაოდენობას მოუყარა თავი, მაგრამ შინაურ თუ გარეულ უზნეოებსა და მათ გარეწარ პატრონ წამქეზებლებს, კოვზი ნაცარში კი არა, პირდაპირ უნიტაზში ჩაუვარდათ! როგორც ცხონებული ვახტანგ ხარჩილავა იტყოდა: „უხმლო ლაშქარს“, ამჯერად ღირსებაშერჩენილი ხალხისაგან შექმნილი პოლიცია დახვდა და ხელი არ შეუშლიათ სიბილწისა და სატანისტური შაბაშის (არა ფესტივალის, არამედ შაბაშის!) აღკვეთაში. „უხმლო ლაშქარმა“ ღირსეული ქართველებისამ აღკვეთა იმ დღეს დიდი ეროვნული თავს ლაფის დასხმის საშიშროება და უდიდეს სირცხვილს ააცილა საქართველო კავკასიის ხალხთა თვალში.

რატომ დასჭირდა ხალხს ქუჩაში მასობრივად გამოსვლა ეროვნული ღირსების დასაცავად? ამ 30-40 წლის წინ ხომ ვერავინ წარმოიდგენდა ამას? დიახ, მაგრამ დღეს იმ ქვეყანაში, რომელიც ჩვენს მეგობრებად მივიჩნიეთ და რომლისკენაც ჩვენს ხალხს ექაჩებიან პროპაგანდით, სამართლებრივი აქტებით, ადამიანის უფლებების დაცვის ყალბი საბაბით, ბავშვთა უფლებების სატანური შინაარსით, კონსტიტუციური ნორმატივებითაც კი, გამეფებულია ისეთი რეალობა, რომელიც შექსპირის 66-ე სონეტშია ჩამოყალიბებული: უზნეობა ზნეობად ითვლება, სიცრუე-ჭეშმარიტებად, მონობა – თავისუფლებად, ფაშიზმი-დემოკრატიად, უვიცობა – სიბრძნედ და ასეთ რეალობას ნერგავენ ჩვენშიც. პირველ ყოვლისა, ვინაობას და სადაურობას ავიწყებენ ახალგაზრდობას, მოყვარეს მტრად წარმოუჩენენ, მტერს მოყვარედ, ოჯახს ძალადობის მექანიზმად უსახავენ, მშობლებს შვილების აღზრდის უფლებას ართმევენ, მასწავლებლის ავტორიტეტს მიწასთან ასწორებენ, გაუკუღმართებული სექსუალური ცხოვრება ორიენტაციააო, არწმუნებენ ამ უბედურებაში.

ხელისუფლებამ რაო? ხანდახან გული არ უთმენს და აღშფოთდება ხოლმე, მაგრამ, როგორც კი სტრატეგიული ბოსი (თუ

ბოზი!) თითს მუქარით დაუქნევს, ჩირგვში შეიმალება, ე, მანდ მოწყალება არ შემიწყვიტოსო.

ასე დიდხანს ვერ გასტანს!

ხელისუფლებას თუ ღირსება და თავმოყვარეობა აქვს, არც დამნაშავეებს უნდა ელაპარაკებოდეს ზოდიშებითა და ენისმოჩლექით და არც გიჟებს – სერიოზულად. დამნაშავეებს ციხეში ზედამხედველები უნდა ელაპარაკებოდნენ, მათთვის გასაგებ ენაზე, ცხადია, ხოლო გიჟებს –- ფსიქიატრები.

როდესაც პარლამენტი დეპუტატთა ერთ ნაწილს, ქვეყნის მტრებსა და მოღალატეებს უწოდებ, მერე კი მათთან ერთად ზიხარ და კანონშემოქმედებას ცდილობ, ღირსების ნატამალი არ გაგაჩნია.

**პოლიტიკოსობა თუ გინდა და ქვეყნის მართვის პრეტენზია გაქვს, მაშინ უვიცი და უზრდელი ჟურნალისტებისა კი არ უნდა გეშინოდეს, იმათ უნდა ეშინოდეთ შენი და კანონისაც, ცხადია, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰგონიათ, რომ ვიღაც უწიგნურ გომბიოს, რომელსაც რომელიღაც ვაიტელეკომპანიიის**

რუსეთი მოვატყუეთო, ანუ მატყუარები და უპრინციპოები ვართო – მატყუარობა, ფლიდობა, დიდი და უპატიებელი ცოდვაა, ანუ მყვირალა უღირსობაა.

რამ ათქმევინა ამხელა გერმანიის ამხელა კანცლერს მსოფლიოს გასაგონად: ნატოს სახელმწიფოს მეთაურები ღირსებადაკარგული ხალხიაო!, ჰქონდათ კი ოდესმე? კაცს ან ქვეყანას ღმერთი რომ გაუწყრება, იგი ღვთიურ მადლს – ჭკუას ჰკარგავს. ამიტომ აღიარა მერკელის ქალმა თავისი და თავის პარტნიორების უღირსი საქციელი.

ახლა თქვენ გეკითხებით, დღევანდელი და მომავალი ხელისუფლების მოსურნე პოლიტიკოსებო: ეს უზნეო სახელმწიფოების ხელისუფლების წარმომადგენლები თქვენი სტრატეგიული მეგობრები როგორ არიან, ან თქვენ როგორ ესწრაფვით მათი სამეგობრო ოჯახის წევრობას, თუ ღირსების განცდა გაქვთ?

ანდა, კოლექტიური დასავლეთი უკრაინას, ისეთივე ეთნიკურ რუსეთს, როგორიც ტამბოვისა და ტულის, ნოვგოროდისა და ფსკოვის, რიაზანისა და როსტოვის მოსახლეობაა, ბოლო უკრაინელამდე ბრძოლისთვის რომ აქეზებენ და ხელს უწყობენ, საშინელი უზნეობა და მომაკვდინებელი ცოდვა არ არის, განა? ჰო და, ამ ცოდვის

ნეტავი, სად მდებარეობს გერმანიიდან ასიათასობით კილომეტრით დაშორებული სახელმწიფოები? დედამიწის გარშემოწერილობა ხომ 40 ათას კილომეტრს არ სჭარბობს?!

სრული უვიცობა და გამოთაყვანება დაემართა კოლექტიურ დასავლეთს, რომლის ფინალი ისეთივე იქნება, როგორიც რომისა და ბიზანტიის იმპერიებს ჰქონდათ!

ამ ჩვენს გამოთაყვანებულ მედასავლეთეებს მივმართავ, თუმცა იმის იმედი როდი მაქვს, რომ რაიმეს გაგების უნარი ჰქონდეთ შერჩენილი: თქვენ „შინ“, ევროპაში მიდიხართ, რომელიც თქვენი ცხონებული ბებია-ბაბუების ისტორიული არჩევანია? წადით! ყველა თავის მგმობელი და უპატიებელი ცოდვის მიმყოლი თუ დატოვებს ამ ჩვენს, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, ეგებ, არ გაგვწიროს უფალმა. კოლექტიურ დასავლეთზე რომ უფალს ხელი აქვს აღებული, ეს აშკარაა, რადგან ის საშინელი ცოდვები, რაც ევროპას აწევს ზურგზე, მისი მრავალსაუკუნოვანი კოლონიზატორული მეკობრეობა – ყაჩაღობის გამო, დაუსჯელი არ დარჩებოდა!

როდესაც აშშ-ს აწინდელი პრეზიდენტი აცხადებს: ტრანსგენდერები ჩვენი საზოგადოების სახეაო, საღ გონებაზე მყოფ ხალხს არაფერს ეუბნება

# ანატომია



ეს ფაქტი? ღმერთი უარყავით და მამონას მონობა აირჩიეთ, „შინ ევროპაში მიმავალნო“? კეთილი, დროზე წადით, თუნდაც მამაჩემის მამიდის მაზლთან, ქართული ღირსება-პატიოსნებით აღსავსე ადამიანებმა ეგ არ იდარდონ! ათასი ღირსეული ქართველი 100.000 ღირსებადაკარგულ და უზნეო ადამიანზე მეტის შემძლე და შემოქმედია. მადლობა უფალს, ჯერ-ჯერობით ღირსეულ და უღირსებო ქართველთა რაოდენობრივი შეფარდება სასიკეთოა, მაგრამ... სატანას არ სძინავს, მამონა ფულის სახით იპყრობს მერყევთა სულებს. აგერ, ჩვენს თვალწინ, ქართველთა საყვარელი მომღერლები სოდომური ცოდვის აპოლოგეტებად იქცნენ და მოზარდი თაობის სულიერ-ხორციელ დაღუპვას უწყობენ ხელს: **„ნახეთ თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა“** (რუსთველი). აი ამ ცდუნებას უნდა გაუძლო, მაშინ გაქვს ღირსება, თორემ უკანალის მიმცემთა მარაქაში თუ ჩაეწერე, შენდობა აღარასოდეს და არავისგან გექნება.

ჰო და, აწინდელო და გუშინდელო ხელისუფლებავ, ის პოლიტიკური ორიენტაცია, რომელიც კონსტიტუციითა და კანონებით გაქვთ განსაზღვრული, $180^0$-ით (არა $360^0$ გრადუსით, როგორც დიდ ნატოელ პოლიტიკოსს ჰგონია!) თუ არ შეცვალეთ, მოუსავლეთში მოგიწევთ წასვლა და, ვაი, რომ თქვენს საპატრონო ქვეყანასაც იქით ექაჩებით სწორედ!

ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთველის, დავით გურამიშვილის, პატარა კახის (დიდი ერეკლეს!) ქვეყანაში, ჩათლახი აქაურების, მათი ჩათლახი პარტნიორების (ბატონებისა) და ქართველთა „დაუძინებელი მეგობრების“ წესრიგი ვერ დამყარდება! ეს ქვეყანა ქრისტესავით ჯვარცმული და ღვთისმშობლის წილხვედირი ქვეყანაა, სადაც ღირსება ღვთიურ მადლადაა მიჩნეული ათადან და ბაბადან დღემდე!

ყველაფერი შეიძლება, დაიბრუნოს ერმა, მაგრამ დაკარგულ ღირსებას ვეღარასოდეს დაიბრუნებს! ეს გახსოვდეთ, მომავალო პოლიტიკოსებო და დღევანდელი ხელისუფლების ჯერ კიდევ ღირსებაშერჩენილო ნაწილო.

## სრული უვიცობა და გამოთაყვანება დაემართა კოლექტიურ დასავლეთს, რომლის ფინალი ისეთივე იქნება, როგორიც რომისა და ბიზანტიის იმპერიებს ჰქონდათ!

**ჟურნალისტის მოწმობა უძევს ჩანთაში, ყველაფრის ნება აქვს და რესპოდენტს მხოლოდ მოვალეობანი, ამ შემთხვევაში მას არაფერი ესაქმება პოლიტიკასთან, მით უფრო ხელისუფლებასთან, ღირსება არ გააჩნია და იმიტომ!**

ათიოდე ნარკომანი და პედერასტი ქალაქის ცენტრს თუ ატერორებს და პოლიციელების დაწვას ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილებით“ ლამობს, შენ კი მათი და მათი უცხოელი პარტნიორების შიშით, უცხოელთა აგენტების დაფინანსების გამჭვირვალობის კანონი უკან გაგაქვს პარლამენტიდან, მერე სულაც დათვი რომ დაიჭირო ყურებით, მაინც ლაჩრად ჩაგთვლიან. ლაჩრობა და ღირსება შეუთავსებელი თვისებებია! იცოდეთ ეს!

პოლიციელებზე ძალადობის, უფრო მეტიც, ფაქტზე დაჭერილი სისხლის სამართლის დამნაშავენი, თუ იმავე დილით გაათავისუფლე, რადგან „სტრატეგიული“ ქვეყნის ელჩმა გითხრა, ეგ ჩვენ გამოხატვის თავისუფლებად მიგვაჩნიაო, მაშინ ერთი ტაშტი სიბინძურე გადაგისხამს თავზე და ეგ არის!

მომავალმა პოლიტიკოსებმა უნდა იცოდნენ, რომ უზნეობის მხარდაჭერა, რა მიზეზითა და მიზნითაც უნდა ხდებოდეს ეს, ღირსეული საქციელი არ არის.

აი, ამის,პოლიტიკური მაგალითი: გერმანიის ყოფილმა კანცლერმა ანგელა მერკელმა ინტერვიუში საჯაროდ განაცხადა: 2014 წელს, მინსკის სამშვიდობო ხელშეკრულებას რომ მოვაწერეთ ხელი (მაკრონთან ერთად), ამ ხელშეკრულების შესრულებაზე კი არ ვფიქრობიდით, რუსეთის შეჩერება გვინდოდაო, რათა უკრაინა იარაღით მოგვემარაგებინა რუსეთის წინააღმდეგ საომრადო. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ და ნატოელებმა ჩამდენთა მხარდაჭერა უზნეობასა და ღირსების სრულ დაკარგვას არ ნიშნავს? ოდნავი საღი აზრის მქონეც კი ვერ იტყვის, არაო!

ნახევარი მსოფლიო, ძირითადად კოლექტიური დასავლეთი, ღირსებადაკარგული და გონებაგამოცლილია. ასე რომ არ იყოს, ისეთი უვიცები, როგორებიც ახლა ევროპასა და ამერიკის ქვეყნებს მართავენ, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში როგორ აღმოჩნდებოდნენ?

გენიოსი იყო, ოსვალდ შპენგლერი, რომელმაც ასი წლის წინ გამოაქვეყნა საყოველთაოდ ცნობილი წიგნი „ევროპის მზის ჩასვენება“, ჯერ კიდევ როდის მიხვდა ის ცხონებული ამას! მაშინ ხომ ჯერ კიდევ არ იყვნენ ევროპის ქვეყნების პოლიტიკის საჭესთან ისეთი მატყუარები, როგორც ახლა არიან, მაშინ ხომ წარმოუდგენელი იყო, ევროპის წამყვანი ქვეყნის კაც პრეზიდენტს კაცი ჰყოლოდა ცოლად (ან ქმრად!), ინგლისში კი რაინდის წოდება პედერასტისთვის მიენიჭებინათ. ვერც იმას წარმოიდგენდა ვინმე მაშინ, რომ აშშ-ს პრეზიდენტს ავსტრია და ავსტრალია ერთი და იგივე ქვეყანა ჰგონებოდა (ჯორჯ ბუში უმცროსი!), ან გერმანიის პოლიტიკის ერთ-ერთი მესაჭე იტყოდა: პუტინი თუ თავის პოლიტიკურ კურსს 360 გრადუსით! არ შეცვლის, მასთან ვერავითარ ურთიერთობას ვერ დავამყარებთო (ავადცნობილი ბერბოკი), მეორე ცნობილმა პოლიტიკოსმა მთლად რეკორდი დაამყარა უვიცობაში: ჩვენგან ასიათასობით კილომეტრით დაშორებულ სახელმწიფოებშიც კი ვერ შევეგუებით ანტიდემოკრატიულ მოქმედებებსო.

**გახსოვდეთ, ღირსებაშერჩენილი ქართველების მოთმინება კრიტიკულ ზღვარზეა, „ბახტრიონის აჯანყება“ კარზეა მომდგარი, რომელიც მესიის მახვილი იქნება!**

**ზურაბ ცუცქირიძე,**

**პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი**

**ტელ: 555 56-75-37**



**P.S. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და ჩინეთის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობის მიერ მისი ღირსეული მიღება, დიდ იმედს მინერგავს, რომ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია აუცილებლად შეიცვლება უზნეობა-უკულტურობიდან, უძლიერესი და უღრმესი კულტურისაკენ.**

**დიდება უფალს!**

**ზ. ც.**

# „მატარებელი უკვე წავიდა“?!



(მეოთხე გვერდიდან)

**„ახლა მსოფლიო დღის წესრიგი ნამდვილად იცვლება, საქართველო თავის სუვერენიტეტს იმტკიცებს, უფრო მეტიც, კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა, თუ როგორი ანტისახელმწიფოებრივია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ამდენად, მივესალმები „ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერის სოზარ სუბარის ამ ინიციატივას და არა მხოლოდ მე, სხვებსაც მოსწონთ ეს იდეა, ვიცი რა, როგორი განწყობაა საზოგადოებაში. თუმცა რამდენად დაუჭერს ამას მხარს მმართველი გუნდი, დანამდვილებით ამის თქმა შეუძლებელია. რეალისტური გამოსავალი კი ის არის, რომ 2024 წლის არჩევნებში ხალხმა არ დაუშვას „ნაცმოძრაობა“ პარლამენტში მცირე უმცირესობითაც კი“,** – აცხადებს გია აბაშიძე.

პოლიტოლოგი, ყოფილი პოლიტპატიმარი **ვახტანგ მაისაია** მიიჩნევს, რომ ნაციონალების გასამართლების მატარებელმა უკვე ჩაიარა. for.ge-სთან საუბრისას პოლიტოლოგი იხსენებს გიორგი შენგელაიას მიერ გადაღებულ გენიალურ კომედიას – „მიდის მატარებელი“. პოლიტოლოგი თვლის, რომ მატარებელი უკვე წავიდა და ნაცების გასამართლებაც მითი და ზღაპარია.

**„თუ ვიღაცას უნდა, „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ დაუყაროს სატყუარა ხალხს მომავალი არჩევნების გამო, ამ მითის მე უკვე აღარ მჯერა. პოლიტპატიმრების 90% რეაბილიტირებული არ არის და რომელ ნაცების გასამართლებაზეა საუბარი. არავითარი დასავლეთი არ ბლოკავდა „ქართულ ოცნებას“, რომ სამართალი აღესრულებინა, ეს კიდევ მეორე მითია, მითების მოყოლას შეეშვან, ამ საქმეების გამოძიება მაშინვე შეეძლოთ, მაგრამ იმ პერიოდში „ქართულმა ოცნებამ“ თვითონვე აიღო თავის თავზე, რომ მაინცდამაინც არ გამოეჩინათ ინიციატივა ნაცებთან მიმართებით. მერე კი თვითონვე გამოიყენეს „ნაცმოძრაობის“ ელემენტები და ტექნოლოგიები“,** – აცხადებს ვახტანგ მაისაია.

მისივე განმარტებით, ნაცები საოცარი სისასტიკით უსწორდებოდნენ როინ შავაძეს, მუხროვანის ბიჭებს, რომლებსაც მოუგონეს, თითქოს სამხედრო ამბოხს აწყობდნენ, **გიორგი კრიალაშვილი** მხეცურად მოკლეს. არადა, სწორედ მუხროვანის ბრიგადამ აიღო ცხინვალი და პირველი წინააღმდეგობა გაუწია რუს ოკუპანტებს.

პოლიტოლოგის შეფასებით, როინ შავაძე გმირი ადამიანი იყო. **როინ შავაძე** და **სერგო თეთრაძე,** როგორც ჩანს, იყვნენ მაშინდელი მაღალჩინოსნების ღალატის მხილველნი, რაც ომის პირობებში განხორციელდა და ისინი მოკლეს, როგორც არასასურველი მოწმეები. ამ მკვლელობებს ნაცებმა მიანიჭეს პოლიტიზებული ხასიათი და ჯაშუშომანიის მანტიით შემოსეს.

**მანანა ნოზაძე**



## ვახტანგ ხმალაძე:

# სრულიად პროპორციული არჩევნების არითმეტიკა

**საპარლამენტო არჩევნებამდე წელიწადზე მეტი დრო დარჩა, მაგრამ პოლიტიკურმა პარტიებმა გადაჯგუფების პროცესი დაიწყეს. ცნობილია, რომ ყველაზე მსხვილმა ოპოზიციურმა პარტიამ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „სტრატეგია აღმაშენებელთან“ ერთად შექმნა პლატფორმა და გამოიკვეთა კონტურები მინიმუმ კიდევ ორი მიზიდულობის ცენტრის შესახებ.**

კერძოდ, საუბარია ყოფილი პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას მიერ დაფუძნებულ პარტიაზე „საქართველოსთვის“ და „ლელოზე“. როგორც განიმარტა, მიზანია, „არ დაიკარგოს“ არც ერთი პროდასავლური ოპოზიციური ხმა, რადგან 2024 წლის არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით უნდა ჩატარდეს 5%-იანი საარჩევნო ბარიერის პირობებში. სხვა საკითხებთან ერთად, სწორედ 5%-იანი ბარიერიცაა ოპოზიციური, განსაკუთრებით მცირე პარტიების გამოწვევა და პასუხისმგებლობაც, არ „დაიკარგოს“ საარჩევნო ხმები, რომელთაც ჯამურ სურათში შესაძლოა, გადამწყვეტი როლი ითამაშონ.

ინფორმაციისთვის: როდესაც სუბიექტები ვერ ლახავს საარჩევნო ზღურბლს, მისი ხმები პარლამენტში შესულ პოლიტიკურ ძალებს შორის ნაწილდება მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად. სწორედ ამას უწოდებენ „დაკარგულ ხმებს“. მაგალითად, თუ ზღურბლს მხოლოდ ორი სუბიექტი გადალახავს „დაკარგული ხმების“ დიდ ნაწილს პირველ ადგილზე გასული პარტია მიიღებს და შესაძლოა, ერთპარტიულადაც შეძლოს მთავრობის ფორმირება, რისთვისაც მინიმუმ 76 სადეპუტატო მანდატია საჭირო.

**„იმისთვის, რომ ერთმა პარტიამ ვერ შეძლოს მთავრობის ჩამოყალიბება, აუცილებელია, ამ პარტიამ იმაზე მეტი ხმა არ მიიღოს, რამდენიც, „დაკარგული ხმების“ გათვალისწინებით, მისცემდა მას 76 მანდატს. რიცხვებში ეს სხვადასხვაგვარი კომბინაცია შეიძლება, იყოს. მაგალითად, თუ პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ ხმების 45% მიიღო და დაკარგული ხმები თუ იქნა მხოლოდ 8% (ანუ სხვა ზღურბლგადალახულმა სუბიექტებმა ჯამში მოაგროვეს 47% მაინც), ამ შემთხვევაში 45%-იანი პარტია ვერ მიიღებს 76 მანდატს – მას 74 მანდატი ექნება, ხოლო დანარჩენ პარტიებს ჯამურად – 76 მანდატი ექნებათ და კოალიციაზე შეთანხმების შემთხვევაში მთავრობის ჩამოყალიბებას, ნაცვლად პირველ ადგილზე გასული პარტიისა, თავად შეძლებენ. ხოლო თუ პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ 45% მიიღო, მაგრამ დაკარგული ხმების რაოდენობა იქნება 9% ან 10%, მაშინ ეს პარტია მიიღებს 76 მანდატს. შესაძლოა, პარტიამ მხოლოდ 30% მიიღოს, მაგრამ „დაკარგული ხმების“ ხარჯზე მაინც შეძლოს მთავრობის ჩამოყალიბება“, – განმარტავს** „აქცენტთან“ **საარჩევნო არითმეტიკას** კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე **და დასძენს, რომ ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენი ამომრჩეველი გადაწყვეტს საკუთარი პოლიტიკური პოზიციის საარჩევნო უბანზე დაფიქსირებას.**

კერძოდ, ხმალაძის დაკვირვებით, „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰყავთ მეტ-ნაკლებად სტაბილური ამომრჩეველი, რომლებიც არჩევნებზე მუდმივად დადიან, სხვები კი პასიურობენ. თუ ოპოზიცია შეძლებს ორპოლუსიანი პოლიტიკური სისტემის გარღვევას და მოქალაქეებისთვის ალტერნატივის (ან ალტერნატივების) შეთავაზებას, რამაც შესაძლოა, გაზარდოს საარჩევნო უბნებზე აქტივობა, იზრდება შანსი, ოთხმა ან ხუთმა პოლიტიკურმა სუბიექტმა გადალახოს საარჩევნო ზღურბლი და მცირე იყოს „დაკარგული ხმების“ რაოდენობაც:

„ამიტომ არის მნიშვნელოვანი, ზღურბლგადალახული სუბიექტების რაოდენობა გაიზარდოს, ამ შანსს კი ზრდის არჩევნებზე მისული ბევრი ამომრჩეველი. ენმ-ს და „ქართულ ოცნებას“ (როგორც საარჩევნო პრაქტიკა აჩვენებს) გარანტირებული აქვთ ზღურბლის გადალახვა, დანარჩენ სუბიექტებს კი დასჭირდებათ იმდაგვარად ჩამოყალიბება, რომ შეამცირონ „დაკარგული ხმების“ რაოდენობა“. ამ პროცესში ცხადია, საკუთარი პასუხისმგებლობა ეკისრება თავად ამომრჩეველსაც, რომ გაიაზროს პარლამენტის ფორმირების სპეციფიკა და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება:

**„ერთი რამ აქსიომაა – საარჩევნო უბანზე არმისული ამომრჩევლის ხმა, ფაქტობრივად პირველ ადგილზე გასულთან მიდის, ყოველ შემთხვევაში, ამ ხმების დიდი ნაწილი – ასეთია არითმეტიკა, როდესაც იანგარიშება მანდატების რაოდენობა მიღებული ხმების მიხედვით“.**

კერძოდ, როგორც კვლევები ადასტურებს, მინიმუმ 50% ამომრჩევლისა პოლიტიკური პროცესისადმი ნიჰილისტურად არის განწყობილი. ცხადია, ვის მისცემს ხმას კომპრომისულად ასეთი ტიპის ამომრჩეველი, მტკიცებით ფორმაში ვერ ვიტყვით, მაგრამ მაღალია შანსი, რომ რომელიმე ოპოზიციურ ჯგუფს. ასეთ შემთხვევაში კი ის შეამცირებს მმართველი გუნდის მიერ მიღებული ხმების ჯამურ წილს, გაზრდის შანსს, მეტმა პარტიამ გადალახოს საარჩევნო ზღურბლი, შესაბამისად, ნაკლები ხმა“ დაიკარგოს“. იგივე პრინციპი მუშაობს საარჩევნო ბიულეტენის გაფუჭების შემთხვევაშიც.

**„ამდენად, უბანზე არმისული ამომრჩეველი, მისდა უნებურად, სწორედ პირველ ადგილზე გასულს ეხმარება. ამიტომ, „არც ერთი პარტია არ მომწონს და არჩევნებზე არ მივდივარძ, სწორი დამოკიდებულება არაა“,** – აჯამებს **ხმალაძე.**

# 30 წელია ხელისუფლებების გადაგდება მტერზე გამარჯვებაა, საქართველოში ლგბტ ნერგი ვერ გაიხარებს!










**ცივილიზაციათა, კუტურათა, იდეოლოგიათა დაპირისპირების უმწვავეს პერიოდში უხდება საქართველოს თავის გადარჩენისთვის ბრძოლა, სამწუხაროდ, ამ გზაზე ქართველი ხალხის მტერი, თავად ქართველი ხალხია, ანუ ის ნაწილი, რომელიც პატრიოტიზმისა და დემოკრატიის საბაბით, პარტიების, არასამთავრობოების, ლგბტ და სხვათა სახით, მეხუთე კოლონად ჩამოყალიბდა, როგორც იარაღი დამკვეთის – აშშ, რუსეთის ხელში გადატრიალების თუ რევოლუციათა მოწყობისთვის!**

30 წელია ამათ სისხლიანი ფულით პირადი ცხოვრება მოაგვარეს. 6 მილიარდი, რომელიც ამათთვის აშშ-მ დაახარჯა, ქართველ ხალხს უნდა აზღვევინონ, არადა, რომელი ფაბრიკა-ქარხანა აშენდა ამ ფულით? თუ დემოკრატიის მშენებლობაში წაგვეშველნენ – მივიღეთ ნეოფაშიზმი სააკაშვილის ბანდის სახით, რომლის პოლიტიკურ რეანიმაციასაც აპირებენ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები. მთავარი ამოცანა რუსეთთან ომია,უკრაინა გახდა დამნაშავე „ნაცების“ თავშესაფარი, რომლებიც, თითქოს იქიდან იბრძვიან საქართველოსთვის და რუსებს ანადგურებენ. არადა, რა დღეში ჩავარდა გმირი უკრაინელი ხალხი.რომელსაც მხოლოდ იარაღით ეხმარებიან და მიზნად უსახავენ რუსეთის იმპერიის განადგურებას, ეს მაშინ როცა თავად აშშ, ნატო თუ ევროპა უფრთხის მასთან ომს. უკრაინას კი აბრძოლებენ უკანასკნელ ჯარისკაცამდე, რათა რუსეთი დაასუსტონ. მაგრამ რამდენად უსაფრთხოა ყველაზე მძლავრ ატომურ ქვეყანასთან ასეთი თამაშები. რუსეთი ყველაფერზე წამსვლელია, იქნებ ჯობდა უკრაინისათვის ნეიტრალიტეტის შენარჩუნება და ამ ერთი სამხედრო ბაზისთვის არ გადაეყოლებინათ მსოფლიო. მაგრამ ომი ამათთვის კრიზისის დაძლევის გზაა. ფარულ მიზნებს ფარდა უნდა აეხადოს 21 საუკუნეში. აშშ-ს ჰეგემონობას წყალი შეუდგა – მსოფლიო იცვლება, ქვეყნები ვითარდებიან, აშშ გეგმა – დაასუსტოს რუსეთი და თავისი გზა იპოვოს ამ ცვლილებებში, ნათელია. მაგრამ ამ ცვლილებებში ჩვენ რა ვქნათ, რით ვუშველოთ თავს ამ პატარა ქვეყანამ, რა გზით ვიაროთ, ამ გზაზე ახალი წინაღობა გაჩნდა ნეოფაშისტური ლიბერალიზმის სახით, რომელიც წალეკვით ემუქრება საკაცობრიო ღირებულებებს და ეს ხდება ადამიანის თავისუფლების საბაბით. მათი იდეოლოგია – წიგნები თუ ფილმები, ინტერნეტი, ღვთის გმობა და სოდომ-გომორია, რაც საქართველოს საბოლოოდ მოუღებს ბოლოს! ერი ისედაც არ მრავლდება, ახალგაზრდები საზღვარგარეთ გარბიან. ქვეყანაში უცხოელების დიდი ნაკადი შემოდის და მალე ვიქნებით დემოგრაფიულ უმცირესობაში, საქართველოს ღვთიური გზა თუ გადაარჩენს, გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა. ჩვენი ისტორია სავსეა მოწამეთა ცხოვრების სასწაულებრივი მაგალითებით. რაც შეეხება ევროპულ გზას, უკვე იგრძნობა ქრისტიანობის დაისი, ასევე, რაც შეეხება ევროპულ კეთილდღეობას,ჩვენც გვექნებოდა, რომ არა 30 წლიანი შინაომები, შური, მტრობა, დაუნდობლობა და კორუფცია. რეალურად შევხედოთ მოვლენებს, გავარჩიოთ მტერ-მოყვარე. გავერკვეთ, რა უნდა ევროპას თუ ამერიკას.ომით განადგურებულ უკრაინას არ იღებენ ნატოში და ჩვენ რისი ან ვისი იმედი ?

ეს ომი, ადრე თუ გვიან დამთავრდება, ჩვენ ძალიან გვინდა უკრაინის გამარჯვება, ეს იქნება გარდატეხა მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ თუ იგი დამარცხდა, რუსეთი ევროპასაც და საქართველოსაც მოადგება. კონსტიტუციაში ხომ მთავარ მიზნად ნატოა გაცხადებული. ქვეყანამ არც ამერიკის და არც რუსეთის მხარე არ უნდა დაიჭიროს. თავისი გზით უნდა იაროს. ჩვენ, უპირველესად შინაური პოლიტიკური ცხოვრება უნდა დავალაგოთ. არაფორმალური მმართველობა, ორივე ძალას თან ახლავს და ერთმანეთის ლანძღვაში გადის დრო. „ოცნება“ ეროვნულობასა და კონსერვატორობას იბრალებს, მაგრამ ვერ იღებს კანონს ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ, რადგანაც ვერ მიიღო კანონი აგენტურის შესახებ. ეს აშშ-ს აგენტურაა. ამდენი მოღალატე არცერთ ეპოქაში არ ყოლია ქვეყანას. ხალხის გაჭირვება იყო და არის რევოლუციების საბაბი, რაც ხელს უშლის ქვეყნის ევოლუციურ განვითარებას. ეს უნდა ჩვენს მტრებს, რათა იბატონონ. ქუჩიდან მოსული ადამიანები, პარტია კიარა ხელისუფლებისათვის მებრძოლი სახელდახელოდ შეკრებილი ჯგუფია. 30 წელია ვართ გადამწყვეტი ეტაპის მოლოდინში, თუმცა, სულ შეცდომებზე ვიარეთ. არ ამართლებდა ჩენი არჩევანი, ამიტომაც გვიწევდა ბრძოლა ხელისუფლების შესაცვლელად. ქვეყანა ცხოვრობს არჩევნებიდან არჩევნებამდე,...

**სახელმწიფო ასე არ შენდება. „ნაცები“ წუხან ხალხის გაჭირვებაზე. მათი ტელევიზიები გვარამიას განთავისუფლებას ზეიმობენ და სააკაშვილის განთავისუფლებასაც ითხოვენ. საქართველოს ბედი ახლა მართლაც ქართველი ხალხის გადასაწყვეტია. რად გვინდა ტერიტორია ქართველების გარეშე – ეროვნულობის, ქართული ხასიათის, რწმენისა და ღირსების გარეშე. ღვთის გარეშე ადამიანი მხეცია და ლიბერალური თავისუფლება ინსტიქტამდე დაიყვანს.**

2024 წლის არჩევნები ახალი ეროვნული ძალების არჩევნები უნდა იყოს, სახელმწიფოებრივი არჩევნები, ეიფორიების და პიროვნული სიმპათიების გარეშე. ივანიშვილმა სააკაშვილის რეჟიმის დამხობით დიდი საქმე გააკეთა, მაგრამ საბოლოოდ მაინც რჩება თავსატეხად ეს ვითომ ოპზიციური ძალა, ემიგრანტებს უნდა მიეცეთ არჩევნებში მაქსიმალურად ჩართვის საშუალება. ეს ქვეყანა მათი გადასარჩენია. სამწუხაროდ, ტელევიზიების უმრავლესობა, ისევ ნაცრეჟიმს ემსახურება, უნდა დამთავრდეს გრიგოლია-თარგამაძის მედიების რევოლუციური მისია.

ვინც დღეს „ნაცების“ გვერდით დგას, უნდა ხედავდეს სისხლიან კვალს და გამწარებულ ქართველობას.არადა, ესაა ქვეყნის ღალატი – თვალს ხუჭავდე ნეოფაშისტურ წარსულზე.არ შეიძლება ის უკავშირდებოდეს ევროპულ მომავალს და დემოკრატიასა და პროგრესს. მათ ხომ ყველაფერი გაუყიდეს ქვეყანას ქარხანა-ფაბრიკებით დაწყებული, პორტებით დამთავრებული. 30 წელია კარგად მუშაობს ლოზუნგი რუსი მტერია. ახლაც უნდათ გამოიყენონ პატრიოტული მუხტი. არ შემოუშვეს საკრუიზო გემი სოჭიდან კიდევ ერთხელ საქვეყნოდ მოიჭრეს თავი...

**ევროპული სახელმწიფოს ბედი 12 პუნქტზე ყოფილა დამოკიდებული, სადაც მთავარი მოთხოვნა ნაც-ქოცების შერიგებაა, ხალხი და მისი ყოფა მეორეხარისხოვანია, არადა, ვინ არიან ესენი ხალხის ხმის გარეშე? ეს ძალა უნდა გამოიყენოს მან, საზღვარგარეთ კი არ უნდა გარბოდეს, პირიქით ისინი უნდა გარბოდნენ, ვინც ხალხს სიყალბესა და ვირტუალურ ბედნიერებაში აცხოვრებს, თვითონ მილიონების მეპატრონენი არიან და ხალხის არც სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა დიდად არ ადარდებთ. ადამიანები სიღარიბეს ეჩვევიან და ეს დასასრულის დასაწყისია.**

**ზურაბ აბრალავა**
ფოთი. ტელ: 568 41 71 58




# რუსებს ტროას ცხენის როლის შესრულებაში ხელი უნდა შევუშალოთ!

## როგორ აისახა საქართველოზე რუსეთის მოქალაქეების მიგრაციული ექსპანსია

**საქართველოში, რომელსაც ბოლო პერიოდში მასშტაბური რუსული იმიგრაციის რამდენიმე ტალღა დაატყდა თავს, ხშირად გაიგებთ შეშფოთებულ განცხადებებს ამ „შემოსევის“ შედეგად სახელმწიფოსთვის შექმნილი საფრთხეების თაობაზე. ვინაიდან სოციოლოგიური კვლევების მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ აისახა ეს პროცესი ჩვენს ქვეყანაზე, ჯერ არ არსებობს, გვიწევს, დავეყრდნოთ საზოგადოებისა და პოლიტიკოსების აღქმას.**

მმართველი პარტია და მისი მხარდამჭერები მოგვიწოდებენ, ვითარების დრამატიზებას მოვეშვათ, რელოკანტებთან მიმართებაში „მაქსიმალური ხელშეწყობის“ რეჟიმი აქვთ ამოქმედებული და ამავდროულად, კრემლის და გასახარად, ქართველ ხალხსა და ოპოზიციას რუსების მიმართ ლამის ქსენოფობიაში ადანაშაულებენ. თავის მხრივ, ოპოზიცია და მისი მხარდამჭერები თვლიან, რომ პროცესმა უკვე საშიშ მასშტაბებს მიაღწია – და რუსეთის მოქალაქეებისთვის შეღავათების გაუქმების, მათ შორის უვიზო რეჟიმის გადახედვის აუცილებლობაზე მიუთითებენ.

მოდით, ამ შეშფოთების საფუძვლიანობა სამ ძირითად ჭრილში – ეკონომიკურში, დემოგრაფიულსა და კულტუროლოგიურში განვიხილოთ.

საქართველოს მოსახლეობა ამ დროისთვის, ოფიციალური ინფორმაციით, დაახლოებით 3,7 მლნ-ს შეადგენს. უკრაინის ომის დაწყების შემდეგ ქვეყანაში გადმობარგებული რუსეთის მოქალაქეების ზუსტი რაოდენობა უცნობია, თუმცა საყოველთაოდ მიღებული საექსპერტო შეფასების თანახმად, იგი დაახლოებით 120 ათასს უტოლდება. რუსების ძირითადმა ნაწილმა ორ ქალაქში – ზღვისპირა ბათუმსა და დედაქალაქ თბილისში დაიდო ბინა. ორივეში მათი წარმოდგენილობა შესამჩნევი გახდა, მაგრამ ბათუმში, შეიძლება, ითქვას, რუსეთის მოქალაქე უკვე მეტისმეტად ბევრია. საქმე იმაშია, რომ თუ მილიონიანიან თბილისს ძალუძს, მიგრანტების გარკვეული რაოდენობა „მოინელოს“, 120-ათასიანი ბათუმისთვის ეს გაცილებით რთულია. თუმცა ამ ეტაპზე რუსული მიგრაცია, რომელიც მოსახლეობის სრული რაოდენობის დაახლოებით 3-4%-ს უტოლდება, მთლიანობაში, არ წარმოადგენს იმ დონის საფრთხეს, რომელიც დემოგრაფიულ სურათს რადიკალურად შეცვლიდა.

**რაც შეეხება კულტუროლოგიურ ჭრილს, კერძოდ, იმას, შეუძლია თუ არა „რუსსკი მირს“, ქართველებს იდენტობა წაართვას, ეს აშკარად „თითიდან გამოწოვილი“ ფაქტორია. მსგავსი სავალალო შედეგი ხომ რუსული იმპერიის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის თითქმის 200-წლოვან ანექსიას (ძალისმიერი გასაბჭოებითურთ), ანუ ხისტი რუსიფიკაციის ორ საუკუნესაც კი არ გამოუწვევია და ახლა რატომ უნდა გვეშინოდეს ამის?! ქართული კულტურა საკმაოდ თვითმყოფადია და თვითკმარი, ამდენად, ქართული ეთნოსის (საერთაშორისო საზომით) მცირე პოპულაციის მიუხედავად, იგი არათუ არ ქრება, ვითარდება კიდეც. ასე, რომ საქართველოს ნამდვილად არ ემუქრება გადაქცევა არც რუსეთად, არც თურქეთად და მთელი ეს შფოთვა უსაფუძვლო გაზვიადებაა.**

ყველაზე სერიოზული ფაქტორი, რომელიც რეალურ შეშფოთებას შეიძლება, იწვევდეს, ეკონომიკური და პოლიტიკური ექსპანსიაა. საქმე ისაა, რომ საქართველოში გადმობარგდნენ ის ადამიანები, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზით რუსეთის დატოვების სურვილთან ერთად, ამის ფინანსური შესაძლებლობაც გააჩნდათ. ჩვენმა ქვეყანამ ამით შესამჩნევი ეკონომიკური სარგებელი მიიღო, რომელიც, მათ შორის, ეროვნული ვალუტის კურსზეც აისახა: ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 2022 წლის მარტის 3,4-ლარიანი მინიმუმიდან ამჟამინდელ 2,6 ლარამდე გამყარდა; 2022 წელს რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 10,1% შეადგინა, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში – 7,7%. და მართალია, ზრდის მაჩვენებელზე სხვა რიგი ფაქტორების ზეგავლენაც უნდა ავიღოთ სათვალავში, მაგრამ მიგრანტებმა მასში უდავოდ წონადი წვლილი შეიტანეს. რუსეთის მოქალაქეები იჯარით იღებენ და ყიდულობენ ბინებს, ფულს ხარჯავენ სავაჭრო ცენტრებსა და მარკეტებში. მოსახლეობის ზრდა არა დახმარების მიმღებთა, არამედ სახსრების მქონე საშუალო კლასის ხარჯზე მთლიანობაში, პოზიტიურად აისახა ეკონომიკაზე. მაგრამ ეკონომიკის გამოცოცხლების ფონზე თითქმის ყველაფერი გაძვირდა – საკვები პროდუქტებიდან უძრავ ქონებამდე, რაც საკუთარ თავზე უპირველესად, ადგილობრივთა დიდმა ნაწილმა იგრძნო.

გამოდის, რომ საქართველოს რუსების დიდი ნაკადის შემოდინების გამო, ერთი შეხედვით, არაფერი აქვს სანერვიულო. მაგრამ ეს – მხოლოდ ერთი შეხედვით.

**აქ უპრიანია, გავიხსენოთ აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერ ასლან ბჟანიას ამასწინანდელი პასაჟი: იგი მოულოდნელად კომპლიმენტებად დაიღვარა ბათუმის მიმართ, იმ კონტექსტში, რომ ამ უკანასკნელმა განვითარებაში სოხუმს გადაუსწრო... დიახ, ეს ფაქტია, თანაც უკვე არაერთი წელია, საყოველთაოდ ცნობილი. მაგრამ ბჟანიას კომპლიმენტი სხვა რამეს ემსახურებოდა, უპირველესად – აფხაზეთში მოსკოვის მიერ ინიცირებული „აპარტამენტების შესახებ“ კანონის მიღების ლობირებას, რომელიც პირდაპირ კავშირშია რუსულ ექსპანსიასთან.**

27 აპრილს, აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონების ადმინისტრაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე ბჟანიამ ისაუბრა, მათ შორის, რუსული ინვესტიციების აუცილებლობაზე, იმაზე, რომ ამ ფულით უნდა განხორციელდეს აფხაზეთის მჭიდრო განაშენიანება... მან უამბო შეკრებილთ, რომ პირადად დაგზავნა (როგორც ჩანს, ადმინისტრაციების რიგ ხელმძღვანელებთან) ბათუმის აპარტ-ოტელების ფოტოები უცხოური ინვესტიციების სარგებლიანობის ილუსტრირებისთვის.

მოსკოვი რუსეთის მოქალაქეებისთვის აფხაზეთში მიწისა და უძრავი ქონების შეძენაზე მოქმედი საკანონმდებლო აკრძალვის გაუქმების მისაღწევად დიდი ხანია, იღვწის. ბოლო პერიოდში ამ მხრივ სოხუმზე ზეწოლა მრავალჯერადად გაძლიერდა. მოსკოვმა მოახერხა სოხუმის „დაყოლიება“ რუსეთისთვის 80 ჰა მიწის გადაცემაზე ბიჭვინთაში, სადაც ადგილობრივი საზომით, გიგანტური რუსული ანკლავის – „მოსკვა რისორთის“ მოწყობას გეგმავს. გარდა ამისა, დასასრულს უახლოვდება იმ კანონის მიღებასთან დაკავშირებული ეპოპეა, რომელიც მოსკოვს სოხუმში რუსეთის მოქალაქეებისთვის 30 ათასი აპარტამენტის აშენების შესაძლებლობას მისცემს. ამასთანავე, მოსკოვმა თვალი დაადგა რეგიონის ყველა სტრატეგიულ აქტივს – რკინიგზას, ენერგეტიკას, აეროპორტს. ნათელია, რომ აფხაზეთი თავისი 240-ათასიანი („ოფიცილური“ მონაცემებით) მოსახლეობით რუსების მსგავს ნაკადს ვერ გაუძლებს. მხოლოდ აპარტამენტების მომავალ 100 ათას რუს მფლობელზე რომ ვისაუბროთ, ყველა მათგანი, უდავოდ, აფხაზეთის პოტენციური „მოქალაქეა“ და ადრე თუ გვიან, მოსკოვი ამ საკითხს გადაჭრით დააყენებს. მაგრამ მათ გარდა, მთელს აფხაზეთში კიდევ მრავალი ათასი რუსი გადასახლდება, – ბინების შემძენებით დაწყებული, მშენებლებითა და სხვა ტექნიკური სპეციალობების წარმომადგენლებით დამთავრებული, ასევე პერსონალი, რომელიც სამომავლოდ აეროპორტს, ენერგეტიკას, იგივე ტურიზმს მოემსახურება... და ყველა მათგანიც გარანტირებულად მიიღებს აფხაზეთის „მოქალაქეობას“.

**მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ყველა პროექტი აფხაზეთში მთლიანად რუსული ფულით იგეგმება, მაშინ, როდესაც ბათუმში, რუსი მიგრანტების დიდი ნაკადის მიუხედავად, ტურიზმისა და მშენებლობის სფეროებში ადგილობრივი ინვესტორები და პერსონალი სჭარბობენ. ბუნებრივია, მსგავს პირობებში ბათუმისა და სოხუმის შედარება არაკორექტულია. და მერწმუნეთ, მსგავსი ტემპებით სოხუმი ძალიან მალე, სულ რამდენიმე წელიწადში გადაიქცევა რუსულ ქალაქად, საუკეთესო შემთხვევაში – დიდ სოჭად, თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ ადლერად, რადგან რუსეთი არსად არასოდეს არაფერს აშენებს იმაზე უკეთესს, რაც საკუთარ ზღვისპირა დედაქალაქ სოჭში გააჩნია.**

მაგრამ დავუბრუნდეთ ვითარებას, რომელიც რუსულ მიგრაციულ ექსპანსიასთან დაკავშირებით საქართველოს არაოკუპირებულ ტერიტორიაზე ყალიბდება. სახელმწიფო – ეს უპირველესად, არა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებია, სახელმწიფო ენა, ჰიმნი, ღერბი ან თუნდაც სპორტი, არამედ ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ერთობა, მათი ემოციური კავშირი ქვეყანასთან, მის კულტურასთან და რაც მთავარია, თავად ადამიანური რესურსის ხარისხი. სწორედ ადამიანებზეა დამოკიდებული ეკონომიკური ზრდაც, პოლიტიკური სტაბილურობაც, სწორედ ისინი იცავენ და ავითარებენ ქვეყნის კულტურასაც...

**და თუ საქართველოში რუსული წარმომადგენლობის ზრდას ადამიანური რესურსის ხარისხის პრიზმაში შევხედავთ, დავინახავთ, რომ რუსეთის მოქალაქეთა მცირე რაოდენობას თუ აინტერესებს საქართველო რუსეთისგან განცალკევებით, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო თავისი ისტორიითა და კულტურით. მათი უმრავლესობისთვის, მათ შორის ე.წ. ლიბერალური „ტუსოვკისთვისაც“ კი საქართველო – ეს კვლავინდებურად ყოფილი კოლონიაა, რომელშიც მათ „თეთრი ადამიანის“ როლი შეუძლიათ, „ითვირთონ“.**

დიახ, აქ მათ მოსწონთ კერძები, კლიმატი, სიმღერები და ცეკვები, მაგრამ ყოველთვის როდი სიამოვნებთ ქართული ენა. მათ არ მოსწონთ, როცა რუსეთს ფაშისტურ სახელმწიფოდ მიიჩნევენ. ისინი არ აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას, აღიზიანებთ ქართული საზოგადოების მიერ უკრაინის მხარდაჭერა, უკრაინული დროშები, რუსული ენის არცოდნა ან ცუდი ცოდნა, გზებსა და შენობებზე რუსულენოვანი აბრების, ასევე კონკრეტული - წმინდად რუსული სერვისების არარსებობა, – რუსებს ხომ ძალიან უნდათ, მათთვის აქ ყველაფერი „შინაურული“ იყოს – „როგორც რუსეთში“... კიდევ ბევრი რამ არ მოსწონთ. ამასთან, რუსეთის მოქალაქეები აქტიურად ავითარებენ საკუთარ ბიზნესს და, რა თქმა უნდა, უპირატესად თანამემამულეებს ასაქმებენ, რაც ხშირ შემთხვევაში ადგილობრივთა გაღიზიანებას იწვევს, განსაკუთრებით – როცა საქმე მომსახურების სფეროს ეხება. ადგილობრივებს უწევთ, პირდაპირი მნიშვნელობით აძალონ რუსეთის მოქალაქეებს, შეეგუონ ქართულენოვან მენიუსა და აბრებს, სახელმწიფო ენაზე მომსახურებას... გაჩნდა საკმაოდ აქტიური რუსული ქომიუნითები – ერთგვარი ექსტერიტორიული ანკლავები, რომლებიც განცალკევებით, განდგომილად ცხოვრობენ. ჩამოსული რუსების ამჟამინდელი – დემოგრაფიული თვალსაზრისით ასატანი რაოდენობის პირობებშიც კი ახალმა ემიგრაციამ უკვე გამოიწვია გარკვეული პრობლემები საყოფაცხოვრებო დონეზე: საყოველთაოდაა ცნობილი რუსებში გამჯდარი ჩვევა, ყველას თავს ახვევდნენ რუსულ ენასა და საკუთარ ქცევით ნორმებს, ისევე, როგორც მათი მხრიდან ინტერესის, ხშირად კი პატივისცემის არარსებობაც მიმღები ქვეყნის კულტურისა და ცხოვრების წესის რაციონალური ელემენტების მიმართ, მათი სწრაფვა, ყველგან ნერგონ კანონისადმი უპატივცემულობა და კორუფცია, რომელსაც, რომ ჰკითხოთ, თავად გამოექცნენ რუსეთიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ-ჯერობით საქართველოში რუსი მიგრანტების ინტერესები უმთავრესად მცირე და საშუალო ბიზნესით შემოიფარგლება და მათ მიერ საქმიანობის ამა თუ იმ სფეროსა და ეკონომიკის „სტრატეგიულ“ დარგებში მონოპოლური პოზიციის მიღწევის საფრთხე არ შეიმჩნევა. მაგრამ მადა, როგორც ცნობილია, ჭამაში მოდის.



**ამასთან, საქართველოს ეკონომიკა სწრაფი ტემპებით, სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული რუსეთზე, რაც თავისთავად, ქვეყანას უაღრესად მოწყვლადად აქცევს. უკრაინის ომის ფონზე ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნევა: 2021 წლის იანვარ-ივნისში რუსეთთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 730 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2022 წლის იანვარ-ივნისში – 964 მლნ, 2023 წლის პირველ ნახევარში კი – 1,271 მილიარდი.**

გამოდის, საქართველო სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული რუსეთთან ვაჭრობაზე, თავად ქვეყანაში კი ამ დროს ყალიბდება საკმაოდ სერიოზული რუსული თემი. მსგავსი ორმაგი ეკონომიკური დამოკიდებულებიდან პოლიტიკურამდე კი ერთი ნაბიჯიც აღარაა. ამასთან, კაცმა არ იცის, იქნება თუ არა სამომავლოდ მიგრაციის ახალი ტალღები და თუ რუსების სადღეისოდ არსებული რიცხოვნობა ერთმნიშვნელოვან გამოწვევად არ წარმოჩინდება, ეს არ ნიშნავს, რომ ასე იქნება სამომავლოდაც. მით უფრო, როცა ჩვენი ქვეყნის კარი ბოლომდე ღიაა – საქართველო რუსეთის მოქალაქეებისთვის უვიზო ქვეყნად რჩება.

**სხვათა შორის, შესაძლოა, სწორედ ამაში მდგომარეობდეს მიზეზი იმისა, რომ რუსეთის მოქალაქეების უდიდესი ნაწილი ჯერაც არ აღიქვამს საქართველოს სუვერენულ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. შესაბამისად, ამ პროცესის უკონტროლოდ დატოვება აღარ შეიძლება და დროა, ზომების მიღება დაიწყოს.**

**საქართველოში მასშტაბური რუსული წარმოდგენილობა ჯერ მხოლოდ წელიწადნახევრისაა და არავინ იცის, როგორ მოიქცევიან ახალი მიგრანტები სამომავლოდ – შეეცდება თუ არა რუსული თემი ტროას ცხენის როლის შესრულებას, როგორც ეს უკრაინაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და გერმანიაშიც კი მოხდა. თუმცა სახელმწიფო სწორედ იმისთვის არსებობს, რომ იდეალურ წარმოდგენაში, მუდამ ფხიზლობდეს და ამასთანავე, ვითარდებოდეს, შიშებს აყოლის ნაცვლად.**

**რაჟდენ ქაჯაია**

# რუსთველოლოგიური კრიტიკის ეპოპეა

**შოთა რუსთველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“ მურმან თავდიშვილმა ლამის მთელი სიცოცხლე მიუძღვნა.**

ჯერ კიდევ ჭაბუკი ჩაება იგი პოემის ტექსტის სრულყოფისათვის ბრძოლაში და ეს საშური საქმე ახლახან განასრულა „რუსთველოლოგიური კრიტიკის“ ორი მოზრდილი ტომის გამოცემით.

წიგნიდან წიგნამდე გულდასმით ვადევნებდი თვალს თავგადაკლული რუსთველოლოგის მუხლჩაუხრელ რუდუნებას და ამ ნაშრომების წაკითხვამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ პროფესორი მურმან თავდიშვილი თანამედროვე რუსთველოლოგთა შორის უპირველესია.

**დგას იგი ახლა შუგლზე ოფლგადამდინარე თავის უანგარო ნაღვაწთან და თამამად შეუძლია თქვას, რომ ჯარმაგმა მკვლევარმა ქართველთა უპირველესი წიგნისა და მისი ავტორის წინაშე თავისი ღვთიური ვალი უკვე მოიხადა.**

დავწერე, მოიხადა-მეთქი, და ვიგრძენი, რომ ეს სიტყვა წარსულისაკენ მექაჩება, ამიტომაც აქვე დავძენ, რომ იგი დღესაც ცერბერივით სდარაჯობს „ვეფხისტყაოსნის“ ყოველ სტრიქონს და პოემის გამყალბებლებს რისხვად ევლინება.

მაინც რა იყო ეს გზა და ვისგან სჭირდებოდა რუსთველს დაცვა?

ჯერ იყო და XII-XIII საუკუნეების გზაგასაყარზე შექმნილი ეს გენიალური პოემა ჩვენი ისტორიის „ოქროს ხანაში“ ისე მიჩუმათდა, რომ ეპოქის მემატიანეთა თვალსაწიერშიც ვერ მოხვდა. ვარდუა მკითხავის დონეზე ვიცით პოემის ავტორის ბიოგრაფიაც. ამაოდ დაშვრნენ სახელგანთქმული ფილოლოგებიც.

რა სამსალა ასვა ულმობელმა ჟამმა რუსთველს ისეთი, რომ თითქმის მისი თანამედროვე სპარსელი პოეტების ფირდოუსისა და ნიზამი განჯევის ბიოგრაფიები მისხის მისხამდე ვიცით, ხოლო რუსთველი ისე დაუძვრა ისტორიას ხელიდან, რომ დიდი ხნის შემდეგ მისი ღვთაებრივი სახე პალესტინის ქართული ჯვრის მონასტერში იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის გიგანტურ ფრესკათა ფერხთით სპეტაკთეთრწვეროსანი მოხუცის სახით ამოტივტივდა და ისიც რეზუსული წარწერის ამარა: „ამის დამხატავსა შოთას შეუნდოს ღმერთმა, რუსთველი“. ძნელად გაიგებ, შოთა რუსთველია ფრესკაზე დახატული თუ ინკოგნიტო რუსთველი მადლობას უხდის მხატვარს.

მერე იყო და, სანამ ვახტანგ მეექვსის ძალისხმევით „ვეფხისტყაოსანს“ მისი ნაწილობრივ გადამრჩენი სტამბის საღებავი ეღირსებოდა, იგი კეთილშობილი გადამწერლების ხელში აღმოჩნდა, ხოლო ზოგ კალიგრაფს, რომ იტყვიან, სული სძლევდა და გადაწერის დროს ან რედაქტორობის ჟინი მოუვლიდა და უზადო ქმნილებას თავისი „მოკლე ჭკუით“ შეკვეც-შემოკვეცდა ან, რაც უფრო უარესი გახლდათ, თავის ნახელავს ჩაუმატებდა. მერე მოვიდოდნენ მეცნიერები და ამ ჩამმატებლებს მოფერებით „ინტერპოლატორებს“ შეარქმევდნენ. რაკიღა ეს მეცნიერები (რომელთაც ამ სტრიქონების ავტორი დიდ პატივსა სცემს) ნიჭითა და გაქანებით ცა და მიწასავით შორს იდგნენ გენიალური რუსთველისაგან, „ჩამატებულთაგან“ ზოგ სტრიქონს ბაჯაღლო ოქროდ მიიჩნევდნენ, ზოგს კი ცხვირაბზუებით განზე მოისროდნენ.

უფრო მაგარი კი ის გახლდათ, რომ ბეჯითი ტექსტოლოგები ზოგჯერ ნაბან წყალს ბავშვსაც გადააყოლებდნენ ხოლმე.

ასე და ამრიგად, ყოვლად უსაბუთოდ და უსამართლოდ განდევნეს „ვეფხისტყაოსნიდან“ ფენომენალური

**„კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ-ჩავაქარაბაკე,**
**ყრმასა ფერხთით მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე“.**

ასევე „ვეფხისტყაოსნის“ ძუძუს მოწყვეტილი აღმოჩნდა

**„მოვიდიან შესამკობად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი:**
**კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი,**
**ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი,**
**ინდო არაბ-საბერძნეთით, მაშრიყნი და მაღრიბელნი,**
**რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით**
**მეგვიპტელნი“.**

ხომ ნაფიცი აკადემიკოსები იღვწოდნენ რვაას ორმოცდაათი წლის გენიოსის დასახმარებლად, რათა „ვეფხისტყაოსანი“ ცრუკალმოსანთა ხელყოფისაგან გადაერჩინათ, მაგრამ ახლა შეიძლება თამამად გავიმეორო: ბევრი მათგანი ამაოდ დაშვრა. „საწუხ არს ესე!“

რაღა შორს წავიდე, ვერც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენმა აკადემიურმა კომისიამ გაუწია პოემას ღირსეული სამსახური. მის მიერ 1988 წელს გამოქვეყნებული „ტექსტი“ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

**სალიტერატურო პრესაში დროდადრო იბეჭდებოდა მურმან თავდიშვილის წერილები „ვეფხისტყაოსნის“ დამახინჯებათა წინააღმდეგ. ამ წერილებს სამი რამ უმაგრებდა ზურგს: ავტორის ნიჭიერება, ტექსტის ზედმიწევნითი ცოდნა და ზომიერი სითამამე (ანუ ე.წ. ავტორიტეტთა ნააზრევის ზედმეტ თავმდაბლობას მოკლებული კრიტიკა).**

თუ „აკადემიკოსებს“ მურმანის „წკიპურტები“ და „წკეპლიკები“ თავდაპირველად ნერვებს უშლიდა, მერე და მერე შიგადაშიგ ირკვეოდა, რომ ეს „ახალგამოჩეკილი“ მეცნიერი მართალი ყოფილა.







მაღალმეცნიერულმა კოჰორტამ მურმან თავდიშვილის კეთილშობილური სურვილი მაშინ ირწმუნა, როცა რუსთველოლოგიური მეცნიერების ჰორიზონტზე გამოჩნდა შვიდასგვერდიანი ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“ (1991 წ.).

ამ წიგნით მურმან თავდიშვილმა „ვეფხისტყაოსანს“ დაუბრუნა 60 უსამართლოდ, უსაბუთოდ განდევნილი სტროფი და, რაც მთავარია, პოემის აბსოლუტურად ორგანული ნაწილი — „ინდო-ხატაელთა ამბავი“.

ახალგამოცემულ ორტომეულში მოთავსებული გამოკვლევების სტილი ღრმადმეცნიერული და პოლემიკურია.

ავტორი კოლეგებს ეკამათება მაგალითებით, საქმიანად, მათი ღირსების შეცნობითა და შენარჩუნებით; ეკამათება გაუანჩხლებლად და ცდილობს, ლოგიკის რკინის კანონებით დაუმტკიცოს ობიექტური ჭეშმარიტება.

რაც შეეხება პოლემიკას, აქაც ზომიერია მკვლევარი, თანაც უნდა დავსძინო: იგი თვით ბრძანდება ჩინებული მოქართულე და გახმაურებული მწერალი (ავტორია რომანებისა „კეისარი“, „ფირდოუსი“, „რეპეტიტორი“, „მშვენიერი გეიშა“) და სრულიად ბუნებრივია, რომ მისი ერთობ ორიგინალური წერის მანერა გაჯერებულია ხატოვანი თქმებითა და შთამბეჭდავი პასაჟებით.

აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოგაწვდით:

**1. პ. მარგველაშვილს რომ აკრიტიკებს, მკვლევარი წერს: „ერთი ქვეთავის სათაური ისევე გაურკვეველია, როგორც ეთიოპელის სახე — ღამით“ (I, 778).**

**2. „მახათაძე რუსთველოლოგიაში მახათივით შეიჭრა, ოღონდ ამ მახათს ბოლოში ძაფი არ აღმოაჩნდა. ამიტომაცაა, ვერც ვერაფერი გახადა „კერული“ (I, 137).**

**3. „იმედია, ამ გაკრიტიკებისათვის ბ-ნი გრიველ ფარულავა არ გამინაწყენდება, წყლიდან ჭერეხზე ამოგდებული კალმახივით არ ასხმარტალდება, მით უფრო, თუ გაიხსენებს ერთ ჟურნალში დაბეჭდილ ჩემს შეგონებას: აგებს ომში დამარცხებული, თორემ კამათში დამარცხებული იგებს, რაკიღა თავის ცოდნასა ზრდის“ (I, 168).**

**4. „ყველა, ვინც კი ამას წაიკითხავს, გაცბუნდება, გასახტავდება, რადგან გამოკვლევამ აქ ისე შავი ბოლი ამოუშვა, გეგონება, რომის პაპი ვერ აურჩევიათ და ყომრალი კვამლიც ამას მოასწავებსო“ (II, 143).**

**5. „მე განსაკუთრებით მენიაზა ავტორის სამუშაო ტერმინი მთხრობელი ინსტანცია. ხომ მაგარია?! დიახ, მაგარია, რადგან ერთი რუსული სამეცნიერო ტერმინის უბადრუკი და უგერგილო თარგმანია. ამიტომაც გამოვიდა ასტეროიდ მუა-მუასავით უფორმო და საშინელი“ (II, 455).**

დარბაისლური მეცნიერულ-მხატვრული აზროვნება მაშინაც არ ტოვებს ორტომეულის ავტორს, როცა აშკარა უვიცობას ან ფაქტების გაყალბების მცდელობას წააწყდება. აქ ჭეშმარიტების დასაბუთებას შეერევა ხოლმე უკომპრომისო მოკამათის თავშეკავებული მრისხანება. ეს სრულიად სამართლიანი და გულის მოსაფხანი ტენდენცია კრიტიკოსის სჯას აშკარად ეტყობა პარმენ მარგველაშვილის, ზურაბ კიკნაძის, ელგუჯა ხინთიბიძის, ალექსი ჭინჭარაულისა და ფელიქს კურცვაილის შესახებ თხრობისას.

მე, ერთი მკითხველი, მურმან თავდიშვილს ამ შემთხვევაშიც აბსოლუტურად ვეთანხმები.

აბა, როგორ გინდა მშრალი გონებით, ირონიისა და სარკაზმის თვინიერ იმსჯელო „მეცნიერზე“, რომელიც ირანში გამომავალ რუსულენოვან ელექტროჟურნალში თავს ნებას აძლევს, მკითხველს ასეთი „სიბრძნე“ შესთავაზოს:

„შოთა რუსთველი მხოლოდ და მხოლოდ ნიჭიერი მთარგმნელია სპარსული პოემისა „ვეფხისტყაოსანი“ და არა ავტორი“.

ამ ოპუსის ავტორის გონებრივი სიბეცე იმდენად არ მაკვირვებს, რამდენადაც ირანელ მეცნიერთა დუმილი ამ გამონათქვამზე. ყველა-ყველა და მათ ხომ მშვენივრად უწყიან, რომ არავითარი „ვეფხისტყაოსანი“ არ არსებობს სპარსულ (და არა მარტო სპარსულ) ლიტერატურაში არც პოეტური და არც პროზაული სახით.

სამწუხაროდ, სარეცენზიო წერილის ფორმატი ნებას არ მაძლევს „რუსთველოლოგიური კრიტიკის“ აშკარა მეცნიერულ ღირსებებზე უფრო ვრცლად ვისაუბრო, თუმცა არ შეიძლება ხაზი არ გავუსვა იმ გარემოებას, რომ მკვლევარს ღრმად შეუსწავლია ვაჟა-ფშაველასა და ზვიად გამსახურდიას რუსთველოლოგიური წიაღსვლები და ორტომეულს მეცნიერულ ღირსებას მატებს ორი ბრწყინვალე გამოკვლევაც: „ვაჟა-ფშაველა — როგორც რუსთველოლოგი“ და „ზვიად გამსახურდია — რუსთველოლოგი“.

ზემოთ აღვნიშნე, მურმან თავდიშვილი სიტყვის ოსტატია-მეთქი და ამის დასამტკიცებლად თუნდაც წერილთა სათაურებისათვის თვალის გადავლებაც იკმარებდა:

მაგალითად: „აბანოში რა გინდოდათ?“ „უწვერული წვეროსანი?“ „დავთრები დაბნევიათ“, „გაუხსნელი ტექსტობრივი პარაშუტები“, „გაჭენებული ცხენიდან დანახული“, „სანამ ამიგო გამიგებდეს“, „ყმაწვილი აღარ ხუმრობს“, „არა ოდენ წადილითა ერთითა“, „ჩავარდნილი კლავიში“, „მგლოვიარე ქარავანი“, „როგორ გაძარცვეს ვეფხისტყაოსანი“, „დაბნეული „ქარავანი“ და სხვ.

**ჩემეული დასკვნა ასეთი გახლავთ:**

**თანამედროვე საქართველოს უბედო ბედისა და ისტორიული პერიპეტიების გადამკიდე რუსთველოლოგიური მეცნიერება, რომელსაც უკანასკნელ წლებში გარემოებათა გამო არაერთი მეცნიერი (ფიზიკურადაც და გონებრივადაც) გამოაკლდა, ერთგვარად გააცოცხლა პროფესორ მურმან თავდიშვილის „რუსთველოლოგიურმა კრიტიკამ“ (ტ. I, ტ. II). ამ ორტომეულმა ცხადყო ორი რამ: პირველი ის, რომ რუსთველოლოგია არსებობს და ფილოლოგიის ამ ურთულეს სფეროში დღეს მურმან თავდიშვილი პირველკაცობს; მეორე დასკვნა ის გახლავთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის სრულყოფისათვის დღესაც უამრავი, მართლაც რომ ხელდასაკაპიწებელი სამუშაოა შესასრულებელი და ეს საქმე ნათელი გონებისა და სუფთა ხელების მქონე მწერალ-მეცნიერებმა უნდა აკეთონ (და არავითარ შემთხვევაში რუსთველოლოგიაში ოდენ ენთუზიაზმის იმედზე შემოხეტებულმა დილეტანტებმა).**

**„ვეფხისტყაოსნის“ საბოლოო ტექსტის დადგენის საჭიროებას უფრო აჩქარებს ის გარემოება, რომ მაშინ, როდესაც ეს სტრიქონები იწერება, დღესაც კომერციით ტვინგაბანგული ზოგი გამომცემლობა ჯიუტად განაგრძობს რუსთველის პოემის შერყვნილი ტექსტის ბეჭდვას და ეს მაშინ, როცა უკვე 2016 წელს პირველად გამოქვეყნდა პოემის სრული ტექსტი (მ. თავდიშვილის რედაქცია).**



**რევაზ მიშველაძე,**
რუსთაველის პრემიის ლაურეატი


MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCES
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

# ყურადღება!!!

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 2023 წლის 4-6 ოქტომბერს ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას თემაზე „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“.**

**მისამართი: თბილისი ივ. ჯავახიშვილის ქ. 51**

**სამეცნიერო სტატიები მიიღება 2023 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით. დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ აკადემიის ვებ-გვერდზე www.gaaas.dsl.ge**

◉ ტრიუმფი

# არის 51 მედალი!

**საქართველოს 20 და 23-წლამდელ ძალოსანთა ნაკრები ბუქარესტის ევროპის ჩემპიონატზე გათამაშებული მედლების მნიშვნელოვან ნაწილს დაეუფლა: ორივე ასაკობრივმა ჯგუფმა ორჯიდის ჯამში 9 ოქროს მედალი მოიპოვა. მათ შორის 3 ოქროს მედალი და გუნდური პირველი ადგილი გოგონათა ნაკრების (20- წლამდელები) ანგარიშზეა.**

ვაჟებში 23-წლამდელებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს, ხოლო 20-წლამდელებმა - მეორე. მთლიანობაში ჩვენი ძალოსნების მონაგარმა (გოგონებში და ვაჟებში) 51 მედალი შეადგინა.

20-წლამდელებში ჩემპიონები გახდნენ მარიამ მაისურაძე (49 კგ), ნათია გადელია (81 კგ) და მარიამ მურღვლიანი (87 კგ).

ვაჟებიდან ჩემპიონობა მოიპოვეს საბა ასანიძემ (81 კგ), გიორგი კირვალიძემ (109 კგ) და გერვასი თაბაგარმა (96 კგ). ვერცხლის მედალი ერგოთ გურამ ვეკუას (102 კგ) და ზურაბ მსხალაძეს (81 კგ).

ამავე ასაკობრივ ჯგუფში ვერცხლის მედლები მოიპოვეს თორნიკე ლომთაძემ (96 კგ – აკვრა), ნიკა ესართიამ (81 კგ – ატაცი) და გიგა ოდიკაძემ (61 კგ – ატაცი). ბრინჯაო ერგო გიორგი ხარაზიშვილს (73 კგ – აკვრა).

**23-წლამდელებში ჩემპიონები გახდნენ** გურამ გიორბელიძე (67 კგ), ზაზა ლომთაძე (109 კგ) და თორნიკე ტაბატაძე (+109 კგ). ვერცხლის მედლები ერგოთ კახი ასანიძეს (73 კგ) და ირაკლი გოზეჯიშვილს (96 კგ), ხოლო ბრინჯაოს მედლებით დაასრულეს ევროპის ჩემპიონატი ბაჩუკი შამილიშვილმა (55 კგ), არჩილ მალაყმაძემ (73 კგ) და მიხეილ ადამიამ (+109 კგ).



ატაცში ბრინჯაოს მედლით დაასრულა გამოსვლა აკაკი ტალახაძემ (109 კგ).



◉ ჩენგდუ – 2023

# საქართველო ნახევარფინალშია!

**საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ჩინური უნივერსიადის ნახევარფინალში გასვლა შეძლო, რომლის მეოთხედფინალში გერმანია დაამარცხა.**

შეხვედრა ფრედ 12:12 დასრულდა, გამარჯვებული კი პენალტების სერიამ გამოავლინა, სადაც ქართველი წყალბურთელები მეტოქეზე უკეთესები აღმოჩნდნენ – 4:3.

საქართველოს ნაკრებიდან 4-4 გოლი **იმნაიშვილმა** და **ნ. ტყეშელაშვილმა** გაიტანეს, 2-2 ბითაძემ, ახვლედიანმა და შუშიაშვილმა, ხოლო თითო ბურთი ვ. ტყეშელაშვილისა და მესხის აქტივშია.

საქართველო ნახევარფინალში იტალიას შეხვდება. აღსანიშნავია, რომ ჩვენი გუნდი ძირითადად ეროვნული ნაკრების წყალბურთელებითაა დაკომპლექტებული.

◉ დაბრუნება

# კარასკო დინამოშია

**თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად გიორგი ჭიაბრიშვილის ნაცვლად, ანდრეს კარასკო იმუშავებს. ესპანელი სპეციალისტი 2022 წლიდან თბილისური კლუბის აკადემიას ხელმძღვანელობდა, ამიერიდან კი პირველ გუნდს ჩაუდგა სათავეში.**

კარასკო წარსულში უკვე მუშაობდა „დინამოში“ – 2011-12 წლებში აკადემიის ჩამოყალიბება სწორედ მის სახელს უკავშირდება. ესპანელის სამწვრთნელო კარიერა საფეხბურთო კლუბ „ბარსელონაში“ დაიწყო, სადაც 12 წლის განმავლობაში მუშაობდა. ამას გარდა, კარასკო სხვადასხვა დროს „მალაგას“ 16-წლამდე და დონეცკის „შახტარის“ 19-წლამდე გუნდების მთავარი მწვრთნელი გახლდათ. ესპანელმა სპეციალისტმა გარკვეული პერიოდი „საბურთალოს“ აკადემიაშიც იმუშავა.

აკადემიების გარდა, კარასკოს ძირითად გუნდებთან მუშაობის გამოცდილებაც აქვს – იგი ესპანური „საბადელის“, ავსტრალიური „ვესტერნ სიდნეი უონდერერსის“ და თურქული „ქარაბიუქსფორის“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტი გახლდათ, „დინამოში“ დაბრუნებამდე კი კარასკო ქუვეითის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს იკავებდა.



◉ დებიუტი

# მოგებით დაიწყო



**ინგლისურ „უოტფორდში“ გიორგი ჩაკვეტაძის დებიუტი შედგა. ქართველი ფეხბურთელის ახალმა გუნდმა სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო და ჩემპიონშიფის პირველ ტურში ქპრ 4:0 გაანადგურა.**

„უოტფორდმა“ პირველივე ტაიმში დაასრულა ყველაფერი, როცა მეტოქეს 4 გოლი გაუტანა და მეორე ნახევარი ფორმალობად აქცია. გიორგი მოედანზე 66-ე წუთზე გამოჩნდა და კომპენსირებული დროის ჩათვლით 35 წუთი ითამაშა. საკმაოდ აქტიურიც იყო და ერთხელ გოლამდე ცოტა დააკლდა. ჩაკვემ კარგი პასები გააკეთა, კარშიც დაარტყა და კარისკენაც. მან მაღალი შეფასება დაიმსახურა სხვადასხვა სტატისტიკური გამოცემების მიერ.

მოგეხსენებათ, ჩაკვეტაძე „უოტფორდს“ ერთწლიანი იჯარით შეუერთდა ბელგიური „გენტიდან“. ვალერიან ისმაელის გუნდი მეორე ტურში 12 აგვისტოს „პლიმუთს“ უმასპინძლებს, თუმცა მანამდე ინგლისის ლიგის თასზე ხვალ „სტივენეიჯს“ სტუმრად შეხვდება.

◉ ტატამზე

# ბრინჯაოს ნადავლი

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ბუდაპეშტის მასტერსზე ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რომლებიც ლაშა შავდათუაშვილისა და ტატო გრიგალაშვილის აქტივშია.**

აღსანიშნავია, რომ 73 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოსთვის ლაშა შავდათუაშვილი და გიორგი ტერაშვილი ერთმანეთს შეხვდნენ.

ლაშამ კუბელ მაგდიელ ესტრადას აჯობა, შემდეგ გერმანელი იგორ ვანდტკე ტრავმის გამო არ გამოუცხადდა, მაგრამ ლაშამ მეოთხედფინალში მუროდიონ იულდოშევთან მარცხი განიცადა. შედეგად, რეპეშაჟში გადავიდა, სადაც კოსოვოელ აკილ ჯიაკოვასთან მოიგო და როგორც უკვე ვთქვით, ბრინჯაოსთვის ბრძოლა ტერაშვილის წინააღმდეგ მოუწია, რომელსაც იპონით აჯობა და ბრინჯაოს დაეუფლა.



ტერაშვილმა, თავის მხრივ, უზბეკი ობიდხონ ნომონოვი, აზერბაიჯანელი ჰიდაიათ ჰეიდაროვი და მოლდოველი პეტრუ პელივანი დაამარცხა, რის შედეგადაც ნახევარფინალში ტაჯიკ ბეჰრუზი ხოიაზოდას შეხვდა, რომელთანაც დამარცხდა და ბრინჯაოს მედლისთვის ლაშა შავდათუაშვილთანაც განიცადა მარცხი.

81 კგ წონით კატეგორიაში ტატო გრიგალაშვილმა ყაზახი აბილაიხან ჟუბანაზარი და ემირატების სახელით მოასპარეზე ნუგზარ ტატალაშვილი დაამარცხა, ნახევარფინალში კი ბრაზილიელ გილერმე შმიდტს გაეჭიბრა, მაგრამ წააგო და ბრინჯაოს მედლისთვის იაპონელ კენია კოჰარას დაუპირისპირდა, რომელსაც აჯობა და ბრინჯაო მოიპოვა.

◉ მუნდიალის წინ

# ცივი შხაპი

**საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის მოსამზადებელ ეტაპზე მორიგი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და სტუმრად ლატვიის ნაკრებთან 57:82 დამარცხდა.**

ოთხი დღის წინ ლიეტუვასთან ილიას ზუროსის გუნდმა 102 ქულა ჩააგდო, ბოლომდე იბრძოლა და გამარჯვებამდე ცოტა დააკლდა, მაგრამ რიგაში სულ სხვაგვარი თამაში ვნახეთ. ლატვია რამდენიმე ლიდერის გარეშე თამაშობდა, თუმცა, ამის გარეშეც დიდი უპირატესობით და ძალიან მარტივად მოიგო.

თავიდანვე ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრებში ისევ არ უთამაშია გოგა ბითაძეს, რომელსაც ტრავმა აქვს. ზუროსის გუნდმა კარგად დაიწყო და 13:6 დაწინაურდა, მაგრამ მასპინძლებმა წუთშესვენება აიღეს, რამაც შედეგი გამოიღო და ლატვიელებმა ნელ-ნელა შეძლეს წინ გასვლა, მერე კი ტემპი არ დაუგდიათ და 25-ქულიანი უპირატესობით მოიგეს.

საქართველოს დაცვაშიც ჰქონდა პრობლემები და შეტევაშიც პრაქტიკულად ბევრი არაფერი გამოსვლია, რაზეც ჩაგდებული 57 ქულაც ნათლად მიანიშნებს. ბოლო პერიოდში ზუროსმა სათადარიგო მოთამაშეებს უფრო მეტად მისცა თამაშის შესაძლებლობა.



საქართველოს ნაკრებში უმაღლესი შედეგი გიორგი შერმადინმა დააფიქსირა, რომელმაც 14 ქულა, 7 მოხსნა, 2 დაფარება და 1 პასი მოაგროვა. თორნიკე შენგელიამ 11 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა. სანდრო მამუკელაშვილის ანგარიშზე კი 7 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა.

საქართველოს ნაკრები თბილისში დაბრუნდება, სადაც დედაქალაქის მერიის თასზე ითამაშებს. 12 აგვისტოს ზუროსის გუნდი იორდანიას შეხვდება, ხოლო 13 აგვისტოს, ფინალი გაიმართება. მეორე ნახევარფინალში მონტენეგრო და ირანი შეხვდებიან.

# ოკეანეების ტემპერატურამ უმაღლეს დონეს მიაღწია!



**ოკეანეების ტემპერატურამ მიმდინარე კვირაში, დღემდე აღნუსხულ მონაცემებთან შედარებით, უმაღლეს დონეს მიაღწია. ამის შესახებ აღნიშნულია ევროკავშირის კლიმატური ცვლილების სამსახურის, „კოპერნიკის“ კვლევაში.**

კვლევის თანახმად, ოკეანეების ტემპერატურა მიმდინარე კვირაში 20.96 გრადუსი იყო, რაც ამ დროის საშუალო წლიურ მაჩვენებელს ბევრად აღემატება. ოკეანეები სასიცოცხლო მნიშვნელობის კლიმატის მარეგულირებელია. ისინი შთანთქავენ სითბოს, აწარმოებენ დედამიწის ჟანგბადის ნახევარს და არეგულირებენ ამინდის ფორმებს. უფრო თბილ წყლებს ნახშირორჟანგის შთანთქმის ნაკლები უნარი აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ატმოსფეროში პლანეტის სათბური გაზის მეტი რაოდენობა დარჩება. ოკეანის ტემპერატურის მატებას ასევე შეუძლია, დააჩქაროს მყინვარების დნობა, რომლებიც მიედინება ოკეანეში, რაც გამოიწვევს ზღვის დონის მატებას. ცხელი ოკეანეები და სიცხის ტალღები აწუხებს ზღვის სახეობებს, როგორებიცაა თევზები და ვეშაპები, ამიტომ ისინი მოძრაობენ უფრო გრილი წყლების ძიებაში, რაც არღვევს კვების ჯაჭვს. დარგის სპეციალისტები აცხადებენ, რომ თევზის მარაგები შეიძლება დაზარალდეს.

# ესპანეთისა და საფრანგეთის საზღვარზე ხანძარი მძვინვარებს

**პორტბუში, ესპანეთისა და საფრანგეთის საზღვარზე, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან ტყის ხანძარი გაჩნდა. მაშველებმა 130-ზე მეტი ადამიანის ევაკუაცია განახორციელეს.**



მედიის ცნობით, ხანძარი დაახლოებით 435 ჰექტარზე გავრცელდა. ხანძრის აღმოსაფხვრელად, ესპანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონის, კატალონიის მაშველები ფრანგ კოლეგებთან ერთად შეუერთდნენ სამაშველო ძალებს. ხანძრის გამოცხადებიდან რამდენიმე საათში ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაცია განხორციელდა. აღნიშნულია, რომ ძლიერმა ქარმა ხელი შეუწყო ხანძრის გავრცელებას და ხელი შეუშალა მეხანძრეებს საჰაერო ოპერაციის ჩატარებაში. კატალონიის სამოქალაქო დაცვის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დაახლოებით 4000 ადამიანი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა და სარკინიგზო მიმოსვლა პორტბაუსა და ფიგერესს შორის შეჩერდა. ასევე დაიკეტა საფრანგეთის საზღვრამდე მიმავალი მთავარი გზა.

# 140 წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერი წვიმა

**ტაიფუნ „დოქსურს“ ჩინეთში სულ მცირე 10 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. 18 ადამიანი ამ დრომდე დაკარგულად ითვლება. ქარიშხალ „დოქსურს“, რომელიც გასულ კვირას ჩინეთს დაატყდა თავს, ბოლო 140 წლის განმავლობაში ყველაზე საშინელი წვიმა მოჰყვა. ხებეის პროვინცია, მეზობელი პეკინი, ყველაზე მეტად დაზარალდა.**

ამავე ცნობით, ძლიერმა წვიმამ გაანადგურა საცხოვრებელი კორპუსები, ინფრასტრუქტურა, დატბორა უბნები. ასევე, მთლიანად დაიტბორა მიმდებარე ტერიტორიებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ჩრდილოეთ ჩინეთიდან მოსახლეობის ევაკუაცია განხორციელდა, რადგან ეს ტერიტორიები წვიმების შედეგად მეწყრებისა და წყალდიდობის მაღალი რისკის ქვეშაა.



# ზელენსკი თანამდებობის პირებს დაერია

**უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ, მომავალ კვირაში, სახელმწიფო დაწესებულებებიდან თანამდებობის პირების „გაწმენდის“ შესახებ ისაუბრა. კერძოდ, მათგან, ვინც მისივე თქმით, ძველი ჩვევებისა და წარსულის სქემების გადმოტანას ცდილობდა. ამის შესახებ უკრაინული მედია ზელენსკის ვიდეო მიმართვაზე დაყრდნობით წერს.**



ზელენსკის თქმით, ისინი უკრაინას ათწლეულების განმავლობაში ასუსტებდნენ.

**„ჩვენს სახელმწიფოში აღარ იქნება ძველი ფორმატები – ის ფორმატები, როცა ზოგი სახელმწიფოს და ხალხს იცავდა, ზოგიც ცდილობდა სახელმწიფოც და ხალხიც საკუთარი სარგებლის სამსახურში დაეყენებინა“,** – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვინც არ უნდა იყოს – იქნება ეს სამხედრო კომისარი, მოადგილე თუ თანამდებობის პირი – ყველამ, მხოლოდ სახელმწიფოს გულისთვის უნდა იმუშაოს.

# უკრაინელ დიპლომატთა ნახევარზე მეტი სამშობლოში არ ბრუნდება

**უკრაინელი დიპლომატების 60%-მდე საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინების დასრულების შემდეგ ქვეყანაში არ ბრუნდება. ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინული მედია ავრცელებს.**

თავად უკრაინელი დიპლომატების თქმით, 2022 წლიდან უკრაინის დიპლომატიური მისიების თანამშრომლების 40-60% უკრაინაში არ დაბრუნდა. როგორც დიპლომატიური წყარო აცხადებს, გასულ წელს ამერიკიდან უკრაინაში 20 ადამიანი უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ მხოლოდ ერთი ჩავიდა. არის საელჩოები, საიდანაც უკრაინაში არცერთი დიპლომატი არ დაბრუნებულა.

უკრაინული მედია წერს, რომ დიპლომატების ნაწილი ქვეყანაში არ ბრუნდება ისეთი მიზეზების გამო, როგორიცაა საზღვარგარეთ დალაგებული ცხოვრება, მობილიზაციის შიში, იმის შიში, რომ უკრაინაში ჩასვლის შემდეგ ისინი ვერ დატოვებენ ქვეყანას ომისგან გაქცეული ოჯახების მოსანახულებლად. სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ ასზე მეტი დიპლომატი, რომელიც საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინებიდან უკრაინაში დაბრუნდა, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში თვეების განმავლობაში დასაქმებას ვერ ახერხებს.

# ლატვია ქვეყნიდან რუსებს აძევებს



**ლატვიის მთავრობა მიმდინარე წლის სექტემბერში რუსეთის ათასობით მოქალაქეს ქვეყნის დატოვების რეკომენდაციას მისცემს. ამის შესახებ სეიმის მიგრაციის და მოქალაქეობის კომისიის ხელმძღვანელმა ინგმარ ლიდაკამ განაცხადა.**

მისი თქმით, საუბარია 5-6 ათას ადამიანზე, რომლებიც არანაირად არ ცდილობენ ბინადრობის უფლების გაგრძელებას.

ლიდაკამ განაცხადა, რომ ამ პირებს ოფიციალურ წერილებს გაუგზავნიან, საუბარია მათზე, ვინც ახალი წესებით ბინადრობის უფლების გაფორმება არ დაიწყო და სახელმწიფო ენის გამოცდა არ ჩააბარა. ეს ინფორმაცია ლატვიის შს სამინისტროშიც დაადასტურეს. მისი ინფორმაციით, ოფიციალური შეტყობინების მიღების შემდეგ ადრესატებმა ლატვია 3 თვის ვადაში უნდა დატოვონ. წესის დარღვევის შემთხვევაში ჯარიმაა გათვალისწინებული, ამასთანავე, ეს პირები ქვეყნიდან იძულების წესით იქნებიან გაძევებულები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 9 აგვისტოს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6117; ევრო - 2.8590;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3171;
100 რუბლი - 2.7580; თურქული ლირა - 0.0968;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5575;
1000 სომხური დრამი - 6.7617

**ამინდი 7 აგვისტოსთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე | +19, დღე +39 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +14, დღე +36 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე | +22, დღე +35 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +17, დღე +34 |
| თბილისი: | ღამე | +23, დღე +38 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge